პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნირადღანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აფიშა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 9 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 104 (1259)

სახელმწიფო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღის

— გერმანელი სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმებას.

— ცანკოვი აღიარებს, რომ ბულგარეთში მდგომარეობა სერიოზულია.

— მაროკკოში ბრძოლა გრძელდება.

— სპარსეთში გააუქმეს ყოველგვარი წოდებრივი სახელწოდებანი.

— ვარშავაში დაიწყო პოლონეთის სეიმის უკრაინული ფრაქციის წევრების გასამართლება.

საბჭოთა კანონიერება

ერთ ერთ საჭირბოროტო საკითხს დღეს წარმოადგენს რევოლიუციონური კანონიერების და საბჭოთა უფლებრივი შეგნების განმტკიცება. უკანასკნელმა პარტიულმა კონფერენციამ ამ საკითხსაც მიაქცია სათანადო ყურადღება: რევოლიუციონურ კანონიერებაზე ცალკე მოხსენება გააკეთა ამხ. ხოლცმა; კონფერენციამ ერთ ერთ მთავარ ამოცანად აღიარა მედგარი ბრძოლის წარმოება ყოველგვარ უკანონობასთან, მოქალაქეთა უფლებების სრული უზრუნველყოფა საბჭოთა კაკონების საფუძველზე და ამისთვის დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ განმტკიცებულია. ქვეყანა დაადგა ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების გზას. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა საბჭოთა კანონებში ჩამოყალიბდა. ცხოვრებაში სავსებით გატარება ჩვენ მიერვე შექმნილი კანონების—ერთი ძირითადი პირობათაგანია საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების, მთელი ჩვენი ცხოვრების ნორმალური განვითარების.

ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. რაც უნდა იდეალური არ იყოს კანონი, თუ იგი რიგიანად არ ტარდება, თუ მისი გამტარებელი ძალა თავის დანიშნულების სიმაღლეზე არ დგას, ამ კანონის აზრი მახინჯდება, იგი ქაღალდზე რჩება. და ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ კერძოდ პროვინციაში აქა-იქ ადგილი აქვს ხელისუფლების წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებას, უფლების გადამეტებას, თვითნებობას, ბოროტმოქმედებას, რაც სახელს უტეხს მუშურ-გლეხურ წყობილებას და გლეხობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საამისო ფაქტები ჩვენ ბევრი გამოგვიქვეყნებია.

ზოგან ადგილობრივ მუშაკებს თავი ვერ დაუხწევიათ „სამხედრო კომუნიზმის" ნაშთებისაგან მართვა-გამგეობის სფეროში, გვერდს უვლიან არსებულ კანონებს და მოქმედებენ „რევოლიუციონური მიზანშეწონილობის" მიხედვით. ჩვენ ფრჩხილებში ვსვამთ ამ სიტყვას—რევოლიუციონური მიზანშეწონილება—რადგან დღევანდელ პირობებში მის ქვეშ ხშირად თვითნებობა იმალება.

არის შემთხვევები, როცა „რევოლიუციონურ მიზანშეწონილებას" იშველიებენ იმიტომ, რომ ზოგი ადგილობრივი მუშაკი არ არის კარგად გაცნობილი საბჭოთა კანონებს და ჩვენს დღევანდელ ამოცანებს. იგი სათანადოთ არ არის მომზადებული და იქცევა ისე, როგორც ამას მისი შეგნება უკარნახებს. მაგრამ ხშირად იგი „სცოდავს" და თავისი მოქმედებით აშკარად არღვევს კანონებს, მთავრობის განკარგულებებს.

უფრო მეტია ისეთი შემთხვევები, როცა საბჭოთა აპარატებში და სხვა ორგანოებში სხედან ბოროტმოქმედი პირები, რომელნიც სჩადიან უკანონობას, იჩენენ თვითნებობას არა უცოდინარობის და შეუგნებლობის მიზეზით, არამედ შეგნებულად, თავისი პირადი ინტერესებისათვის, და იმიტომ, რომ უცხონი არიან მშრომელი ხალხისათვის.

ყველაფერი ეს მეტად აფერხებს ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას, ამას აგრეთვე მოაქვს დიდი პოლიტიკური ზიანი ჩვენთვის, რამდენადაც ეს ხალხს უკარგავს ნდობას ჩვენი კანონებისადმი და ასაზრდოებს მასში უკმაყოფილებას მუშურ-გლეხური მთავრობისადმი.

რა ზომები უნდა მივიღოთ ჩვენ ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად?

აქ პირველ რიგში დგას საბჭოთა და სხვაგვარი აპარატებისათვის პატიოსანი და მომზადებული მუშაკების შერჩევა. ამ მხრივ კარგა ხანია გადადგმულია ნაბიჯები, მაგრამ მოკლე დროში მაინც ვერ შევსძლებთ აქ არსებული მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებას. ჩვენ კიდევ ბევრ ხანს მოგვიხდება სარგებლობა იმ „ცოცხალი მასალით", რომელიც ეხლა არის ჩვენს განკარგულებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში. ისინი, ცხადია, შემდეგში უფრო გააძლიერებენ ამ დარგში საჭირო ღონისძიებათა მიღებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს სასამართლოს და კერძოდ პროკურატურის როლი უკანონობის აღმოფხვრაში. სასამართლოს უფრო დაახლოვება ხალხთან, სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცება, კარგი მუშაკების შერჩევა ამ დარგში, კანონიერების დარღვევების შესახებ საჩივრების სასწრაფოდ, რიგ გარეშე გარჩევა,—აქეთკენ გვაქვს ჩვენ აღებული მუშაობის გეზი.

პროკურატურის შესახებ ამას წინედ გვქონდა გამოქვეყნებული ლენინის წერილი. ლენინი პროკურატურას უაღრეს მნიშვნელობას აკუთვნებს საბჭოთა კანონიერების დამყარების საქმეში. პროკურორი საბჭოთა ხელისუფლების „თვალი და ყურია". მას ევალება ფხიზელი თვალყური ადევნოს ადგილობრივი ორგანოების და თანამდებობის ცალკე პირთა მოქმედებას კანონიერების თვალსაზრისით. პროკურორები უფრო უნდა დაუახლოვდენ ხალხს, ხშირად უნდა აწარმოონ ადგილების ჩამოვლა, უშუალოდ უნდა ისმენდენ გლეხობის საჩივრებს.

სასურველ კანონიერების დამრღვევ პირთა გასამართლება ხდებოდეს ადგილობრივ, საჯაროდ. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა უფლებრივი შეგნების განმტკიცებას.

ბოლოს ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ კორესპონდენტის უდიდესი როლი უკანონობასა და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის საქმეში. მათ გაბედულად უნდა ამხილონ ყოველგვარი უკანონობის, გლეხობის უფლებების შელახვის შემთხვევები.

ამ და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ყოველი გლეხი, ყოველი მოქალაქე სავსებით იქნება დარწმუნებული, რომ იგი იმყოფება საბჭოთა მტკიცე კანონების მფარველობის ქვეშ და რომ სასტიკად დაისჯება ყველა ის, ვინც მოინდომებს ამ კანონების ფეხქვეშ გათელვას.

ჩვენი ეკონომიური ამოცანები

III

მეურნეობის სხვადასხვა დარგის დახასიათება

დ.

მესაქონლეობას საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, მაგრამ ომმა და რევოლიუციამ ამ დარგსაც უდიდესი ზიანი მიაყენა. სხვადასხვა საქონლის რაოდენობის შემცირებას გამოხატავს შემდეგი პატარა ცხრილი (ათასობით):

	1913 წ.	1923 წ.
ცხვარი	1.663	873
თხა	191	142
ღორი	285	391
ხარი და ძროხა	1.145.	1.004
კამეჩი	157	138
ჯორი და ვირი	32	15
ცხენი	128	58

ეს ცხრილი გვითვალისწინებს, რომ შემცირება აღწევს: მეცხვარეობაში—49 პროც., მეცხენეობაში—55 პროც., ჯორი და ვირის—53 პროც., თხის—25 პროც., ხარი და ძროხა—12 პროც., კამეჩის—12 პროც., და გამონაკლისს შეადგენს მეღორეობა. ღორის რაოდენობამ იმატა 37 პროც.

ჩვენი ქვეყნის ბუნების პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცხვრის, ძროხის და ღორის მოშენება. მიწადმოქმედების კომისარიატის მოხსენება საფუძვლიანათ აღნიშნავს, რომ „ჩვენს პირობებში ღორის მოშენებას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის ხორბლეულობა, (სიმინდი და ქერი), რომელიც გვაქვს უცხოეთის ბაზარზე გადაუმუშავებლად, უფრო მეტს შესძენდა ჩვენს ეკონომიკას, თუ ღორის, ამ საუკეთესო საბაზრო-სახორცე საქონლის გამოკვებას მოხმარდებოდა". ახლა ღორის მოშენების და ღორის ხორცისათვის შესაფერ ბაზრის მოპოვებას წარმოკავშირი სერიოზულ ყურადღებას აქცევს, და იმედია ღორის მოშენება ჩვენში განვითარდება, რასაკვირველია, თუ ამას ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ხელს შეუწყობს. ღორის ხორცი უნდა გახდეს ფრიად მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი.

ძროხის ჯიშის გაუმჯობესება და რძის მეურნეობის განვითარება—ეს საამდროვო და დიდი საკითხია საქართველოში, სადაც საუკეთესო ალპიური და სუბალპიური საძოვრებია მეწველი ძროხებისათვის, რომელნიც ასეთი საუცხოვო საკვებების გამო იძლევიან კარგი ღირსების რძეს. 1896 წ. თბილისის სას.-სამ. გამოფენაზე სპეციალურ კომისიამ ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს შვეიცარიული ყველი იცნო, როგორც დიდი ღირსების და უკეთესი შედარებით რუსეთში დამზადებული შვეიცარიული ყველი. ასეთი ღირსების ყველი 1911 წელს საქართველოში დამზადდა 60 ათასი ფუთამდე და რუსეთის ბაზარზე გავიდა 55 ათასი ფუთი.

დღეს შვეიცარიის ყველის დამზადება საქართველოში მეტად დაცემულია და 10 ათას ფუთს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ სხვადასხვა ყველებზე, რომლის რაოდენობა ომამდე რამოდენიმე ასი ათას ფუთს უდრიდა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ყველებით იკვებებოდა და დღესაც ყველი ხალხის კვებაში დიდ როლს თამაშობს.

აშკარაა ყველის დამზადებას საერთოდ და კერძოთ შვეიცარიის ყველისას, როგორც საექსპორტო საქონლისას, დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაფერი ყურადღებაც უნდა მიექცეს. შვეიცარიის ყველის დამზადების განვითარება გულისხმობს ძროხათა რაოდენობის გადიდებას, ჯიშის გაუმჯობესებას, ყველის დამზადების და გაყიდვის საქმის რაციონალად მოწყობას და ამასთანავე, რასაკვირველია, საძოვრების საკითხის მოწესრიგებას.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მეცხვარეობას. ცხვრის რიცხვი, როგორც ზევით დავინახეთ, 1913 წელთან შედარებით 1923 წელს შემცირდა 55 პროც—ით. ასეთი შემცირება შედეგია ომის, რევოლიუციის და მრავალი სხვა მიზეზის. მიწადმოქმედების კომისარიატი ამის შესახებ ასე ამბობს: „ამ მოვლენას,—აღნიშნავს ის,—აქვს თავისი მიზეზები, რომლებიც გამოწვეულია პოლიტიკური სიტუაციის შეცვლით—სახელმწიფო საზღვრების შეცვლა-შემცირებასთან ერთად, სახელდობრ: 1. მომთაბარე მეცხვარეობისათვის შეჩვეული გზებისა და საძოვრების შეშლა და დაკარგვა. 2. საძოვრების საკითხისა და საგადასახადო პოლიტიკის მოუწესრიგებლობა, 3. ცხვრის მიმოსვლის გაძნელება (ჩრდილო კავკასიაში—ყიზლარში ცხვრების გარეკის გაძნელება, არტაჰანის საძოვრების ჩამოშორება და სხვა), 4. მატყლზე მონოპოლიის შემოღება მენშევიკების მთავრობის დროს და 5. მატყლის ფასის განსაზღვრა. ასეთი მიზეზების გამო ცხვრის რაოდენობა შემცირდა და ამასთან შემცირდა მატყლის რაოდენობაც, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია. 1913 წელს საქართველოში მზადდებოდა 180 ათასი ფუთამდე მატყლი და დღეს 100 ათასი ფუთიც არ მოგროვდება. ოფიციალური ცნობებით ფუთობის მიხედვით.

	გადაზიდულია რკინიგზით	აქედან გატანილია საზღვარგარეთ
1909—1913	156020	142.567
1922	16099	4.834
1923	57.848	41.575

მატყლის საზღვარგარეთ გატანა შემცირდა 1923 წ. 1909—1913 წ. შედარებით 77 პროც. მეცხვარეობის მძიმე მდგომარეობის გამოკეთებისათვის ხელისუფლება და კოოპერაცია იღებს ზომებს, მაგრამ ჯერ ცოტაა ამ დარგში გაკეთებული, ეს საქმე კი მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, ენერგიას, ხარჯს და მატყლის ბაზრის საკითხის გადასინჯვას იმ მიზნით, რომ მეცხვარეებმა შესძლონ მატყლის ხელსაყრელ პირობებში გაყიდვა.

ე.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთი ძირითადი დარგთაგანია **მებაღეობა**, რომელსაც მრეწველობის ხასიათი აქვს. სამწუხაროდ, ამ დიდათ საინტერესო დარგის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი სერიოზული სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა. გვაქვს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები. არც ტიმოფეევის და არც სხვა სპეციალისტების ნაწერები მებაღეობის მდგომარეობაზე მთლიან წარმოდგენას არ გვაძლევენ. ოდნავად გაუმჯობესებულია მებაღეობა გორის მაზრაში.

საქართველოში, როგორც ვიცით, მოიპოვება მრავალგვარი და დიდი ღირსების ხილეულობა, რომლის დიდი ნაწილი გადის საზღვარგარედ. ომამდე საქართველოდან საზღვარ-გარედ გადიოდა რკინის გზით 500 ათასი ფუთამდე. ჩვენში არაა არც ერთი შესაფერად მოწყობილი ქარხანა, სადაც მუშავდებოდეს ხილეულობა. ჩვენი ხილის უდიდესი ნაწილი სრულიად უნაყოფოდ იკარგება, რადგან ხალხმა ხილის მოვლა, შენახვა, დამუშავება არ იცის. აი ასეთ პირობებშიაც ოფიციალური ცნობით 1923 წელს საქართველოდან გავიდა 180 ათასი ფუთამდე ნედლი ხილეულობა. ასეთი რაოდენობა ძლიერ მცირეა. ომამდე მზადდებოდა შედარებით მცირე რაოდენობა მშრალი და კონსერვები ხილისა. 1909—1913 წლებში მშრალი ხილი და კონსერვები რკინის გზით საშუალოდ წლიურად გადაჰქონდათ 350 ათასი ფუთამდე და აქედან 230 ათასი ფუთამდე გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ.

დღეს სამწუხაროდ მრავალი საუკეთესო ბაღები განადგურებულია ხალხის ეს ჩვეულებრივი წყარო შემცირებულია 60 პროცენტით მაინც. ეს ხდება იქ, სადაც მოდის მანდარინი და საუკეთესო ჯიშების ვაშლეულობა, მსხალეულობა და სხვ. ასეთი მდგომარეობა ერთი მნიშვნელოვან ფაქტორთაგანია, რომელიც აძლიერებს ჩვენი სავაჭრო ბალანსის პასიობას.

ვ.

ასეთივე მდგომარეობაშია ჩვენი **მებოსტნეობაც**. 1909—1913 წელს საქართველოდან საზღვარგარედ გავიდა მარტო კომბოსტო და საზამთრო 170 ათასი ფუთზე მეტი, საერთოდ ბოსტნეულობა კი 429 ათასი ფუთი. საშუალოდ ომამდე წლიურად რკინისგზით გადატანილ ბოსტნეულობის რაოდენობა უდრიდა 1.128 ათას ფუთს, 1923 წელს კი მხოლოდ 767 ათას ფუთს და აქედან საზღვარგარედ გავიდა მხოლოდ 292 ათასი ფუთი. 1922 წელთან შედარებით 1923 წელს თვალსაჩინო წარმატება დაეტყო, მაგრამ 1913 წელთან შედარებით დღეს ჩვენი მებოსტნეობა მეტად დაქვეითებულია.

დ. თოფურიძე.

მოსახლეობის კვების შესახებ

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუდგა მოსახლეობის კვების მორიგ გამოკვლევას, გამოკვლევა ერთკვირეულია და ხდება ექსპედიციის წესით.

რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს მოსახლეობის კვების გამოკვლევას?

ომამდე მოსახლეობის კვების საკითხი მიჩნეული იყო კერძო საქმეთ და მას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება არც სახელმწიფოს და არც თვით მოსახლეობის მხრით. ასე იყო ჩვენში, ასე იყო ევროპის ქვეყნებშიც. მხოლოდ ომიანობის ხანაში, როცა მთავრობებს მოუხდათ მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგით დახმარების გაწევა, დაისვა მთელი სიგრძე-სიგანით არსებულ კვების გამოკვლევის საკითხი.

კერძოთ ჩვენში ასეთი ნაბიჯი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადადგა. საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის გატარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხის მოწესრიგება მოითხოვდა კვების მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლას.

ასეთი ნაბიჯი ჩვენში გადაიდგა 1922 წელს და დღეს უკვე საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მეოთხეთ ახდენს საქართვ. მოსახლეობის კვების გამოკვლევას.

რასაკვირველია, არც სასურსათო პოლიტიკის და არც ჯანმრთელობის საკითხის მოსაგვარებლათ არაა საკმარისი კვების მხოლოდ გამოკვლევა, მაგრამ ეს წინასწარი პირობაა, რომლის განუხორციელებლად შეუძლებელია რაიმე სერიოზულ ღონისძიებათა მიღება, კერძოთ პირველ საკითხში.

ხანგრძლივი ომით და რევოლიუციით ქვეყნის ეკონომიურ დასუსტებას თან მოყვა კვების გაუარესებაც, რასაც თავის მხრივ უნდა გამოეწვია მოსახლეობის ფიზიკურად დასუსტება, სხვადასხვა ავადმყოფობათა გავრცელება და სხვ.

კვება არსებით გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაზე.

პროფ. პერვუშინს მოჰყავს ამ მხრივ საინტერესო ცნობა:

„ომამდე ერთი ინგლისელი მუშა იმდენს აკეთებდა 10 საათის განმავლობაში, რამდენსაც რუსის 3 მუშა ამავე ხნის განმავლობაში", რაც მისი აზრით აიხსნება ინგლისელი მუშის უკეთესად კვებით.

„ხალხის ჯანმრთელობა უმთავრესად მის კვებაზეა დამოკიდებული", ამბობს პროფ. ჩაიანოვი.

პროფ. პერვუშინს ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ცნობა: „ყოველ 1000 ადამიანზე კვდება: რუსეთში 54, ინგლისში 32, საფრანგეთში—25, შვეციაში—22". სიკვდილიანობის ასეთ დიდ რაოდენობას რუსეთში ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით იგი ხსნის რუსი მოსახლეობის ნაკლები კვებით.

„ავადმყოფთა 40 პროცენტს მოსკოვის მთავარ საავადმყოფოში უდრიდა საჭმლის მომნელებელ ორგანოებით დაავადებულნი"—განაგრძობს იგივე პროფესორი.

მართალია, საჭმლის აბსოლიუტური რაოდენობის მოხმარება რუსი მოსახლეობისა არამც თუ ჩამორჩება ევროპის სახელმწიფოებისას, პირიქით აღემატება კიდეც, მაგრამ კვებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიღებული საჭმლის ხარისხს. „საქმე იმაში კი არაა, მივიღოთ ბევრი საჭმელი და კუჭი დავაკმაყოფილოთ, არამედ იმაში, თუ რამდენად მარგებელია ესა თუ ის საჭმელი",—ამბობს პროფ. პერვუშინი.

ჩვენი ორგანიზმი სავსებით ჰგავს მანქანას, რომელიც საჭიროებს სითბოს და საცხებ მასალას.

ჩვენი ორგანიზმის ქსოვილები განიცდიან განუწყვეტლივ წვას, ეს ორგანიზმი ხარჯავს განუწყვეტლივ განსაზღვრულ ენერგიას, რომლის ხარჯიც იცვლება ადამიანის სხვადასხვა პირობებში ყოფნის დროს. ასეთი ხარჯვა ენერგიისა არ სწყდება მაშინაც კი, როცა ადამიანს სძინავს.

ყველა ასეთი დანაკლისები ადამიანის ორგანიზმმა უნდა აინაზღაუროს საჭმლით შეთვისებულ მაწივარ ნივთიერებით.

ქსოვილების აღსადგენად საჭიროა ეგრედ წოდებული „ცილა", რომელსაც ფიზიოლოგები ორგანიზმის შემკეთებელ ნივთიერებას უწოდებენ, ხოლო დახარჯულ ენერგიის ასანაზღაურებლად საჭიროა სითბოს ენერგია, რომელსაც განსაზღვრული რაოდენობით იძლევა სხვადასხვა მაწივარი ნივთიერებანი (ცილა, ცხიმი და ნახშირ-წყალი უმთავრესად).

საღი კვება (ფიზიოლოგიურ ნორმების მიხედვით) ეწოდება მას, როცა ამ მაწივარ ნივთიერებათა საჭირო რაოდენობას ადამიანის ორგანიზმი ითვისებს ამა თუ იმ (ცხოველურ და მცენარეთა) ნაწარმოებიდან.

ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მოქმედებისათვის საჭიროა დღეში ერთ მოზრდილ მამაკაცზე საშუალოდ 3.000 კალორია *) სითბოს ენერგია.

რაოდენობის საჭიროება იცვლება ჰასაკის, სქესის და ადამიანის სხვადასხვა პირობებში ყოფნის მიხედვით. ასე, მაგ., ქალისათვის საჭიროა 88 პროც. იმ რაოდენობისა, რამდენიც მამაკაცისათვის და სხვ.

თუ ჩვენ გვინდა ჩვენი კვება სავსებით დავუახლოვოთ ფიზიოლოგიურ ნორმებს, საჭიროა პირველ ყოვლისა შევისწავლოთ ფართოდ ჩვენი ფაქტიური კვება და აგრეთვე ფიზიოლოგიური ნორმებიც.

არსებული კვების შესწავლა არ შეიძლება ერთი დაკვირვებით, მის შესასწავლად საჭიროა დაკვირვება ხდებოდეს იმ ეკონომიურ და ტრადიციულ დროის მიხედვით, რომლის მიხედვითაც იცვლება მოსახლეობის კვება.

მაგალითად, სოფლის მოსახლეობის კვება შემოდგომაზე უკეთესია (ახალი მოსავლის რეალიზაციის გამო), ვიდრე წლის სხვა დროს; იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობას მისდევენ, ზაფხულობით დიდ რაოდენობაშია რძის და მისი ნაწარმოების მოხმარება, შემოდგომაზე და ზამთარში კი კლებულობს. აგრეთვე კვება იცვლება წლის მოსავლიანობის მიხედვით და სხვა.

როგორც ვსთქვით, სტატისტიკის ცენტრ. სამმართველო უკვე მეოთხეჯერ ახდენს კვების ასეთს გამოკვლევას.

ამ გამოკვლევას აქვს დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად ასეთივე მეცნიერული მნიშვნელობაც. ეს მუშაობა იმდენად იქნება ნაყოფიერი, რამდენად სწორ ცნობებს მიაწვდის მოსახლეობა გამომკვლევთ.

იმედია, რომ მოსახლეობა სავსებით შეიგნებს კვების გამოკვლევის მნიშვნელობას და ამოცანებს და ხელს შეუწყობს მის წარმატებით ჩატარებას.

კ. ჭ.

---

*) კალორია არის საზომი ერთეული და უდრის სითბოს იმ რაოდენობას პრაქტიკულ მიზნებისათვის, რომელიც ერთ გრადუსზე გაათბობს ორ ნახ. გირ. წყალს.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობებით)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისი

რუსეთის მეცნიერება იფურჩქნება.

ლონდონი, 7 მაისი. ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის კულტურულ ურთიერთობის ხელის შემწყობი საზოგადოების კრებაზე პარლამენტის წევრმა კენვორტიმ განაცხადა, რომ რუსეთი, მიუხედავათ თავისი პოლიტიკური წყობილებისა, წარმოადგენს „იდეების ვულკანს" ხელოვნების დარგში. **მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, რომელიც გამოწვეულია ბლოკადით, რუსეთის მეცნიერება იფურჩქნება. რუსეთის მეცნიერნი ახდენენ უდიდეს აღმოჩენებს.**

პოლონეთი

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონვენცია

ვარშავა, 7 მაისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში ვოიკოვმა და პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ გადასცეს ერთმანეთს დამტკიცებული სიგელები საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სარკინიგზო კონვენციის შესახებ.

ფინეთი.

ფინეთის მთავრობა ბოდიშს იხდის.

მოსკოვი, 8 მაისი. ფინეთის რწმუნებულმა ლონდონში დონნერმა ერთერთი გამოსვლის დროს გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჰელსინგფორსში ჩორნიხმა პროტესტი განუცხადა ფინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. ჩორნიხის შეკითხვაზე, ეთანხმება თუ არა ფინეთის მთავრობა დონნერის გამოსვლას, **გარეშე საქმეთა მინისტრმა იდმანმა განაცხადა, რომ ფინეთის მთავრობა არ იწონებს დონნერის გამოსვლას.**

პროვოკაცია არ გაუვიდათ

სტოკჰოლმი. 7 მაისი. შვეციის პრესის ცნობით, კოპენჰაგენში დაპატიმრებული იქნა ორი კაცი, რომელნიც გამოცხადდნენ საბჭოთა საელჩოში და განაცხადეს, რომ თუ მათ მიეცემათ ჯილდო, მოჰკლავენ გამოჩენილ სოციალ-დემოკრატებს, პირველ რიგში პრემიერ სტაუნინგს, გარეშე საქმეთა მინისტრს ბორგბერგს და პრივესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელებს და აგრეთვე ცეცხლს გაუჩენენ საზოგადოებრივ შენობებს და ამით გამოიწვევენ მღელვარებას.

ეს ორი პირი, რომელნიც დაპატიმრებული იქნენ სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინადადებით, აღმოჩნდენ სტოკჰოლმის მცხოვრებლები, ერთი მათგანი პასუხისგებაში ყოფილა მიცემული ქურდობისათვის. **შვეციის პოლიცია უწოდებს დაპატიმრებულთ ქურდ-ბაცაცებს, მათთან ერთად დაპატიმრებულია ერთი შვედი ქალი.**

ყვითლების ფარისევლობა

თვითონ არიან დარწმუნებული დამარცხებაში.

ბერლინი, 7 მაისი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიტანა წინადადება რათა უკანონოთ იქნას გამოცხადებული საპრეზიდენტო არჩევნები, რადგან ადგილი ჰქონდა არჩევნების დროს ამომრჩევლებზე უკანონო ზეგავლენას. ამ წინადადებას არავითარი შანსი არ აქვს გამარჯვების. **დემოკრატიული პრესაც კი აცხადებს, რომ წინადადება წარმოადგენს პოლიტიკურ მანევრს.**

ბულგარეთში

ცანკოვის განცხადება

პარიზი. 7 მაისი. „ეკო დე პარის" კორესპონდენტთან საუბრის დროს ბულგარეთის პრემიერმა ცანკოვმა აღიარა, რომ **ბულგარეთის მდგომარეობა ფრიად სერიოზულია სამოქალაქო ომის გამო, რომელიც რამდენიმე კვირაა გრძელდება.** ცანკოვმა განაცხადა, რომ რევოლიუციონერები, რომელთაც ხელმძღვანელობს და იარაღს აწვდის კომინტერნი, მუდამ იცვლიან ტაქტიკას. მაგრამ მთავრობა წინააღმდეგობას გაუწევს წითლების შემოტევას, რისთვისაც **საჭიროა ძლიერი არმია, ვიდრე ის მოიგერიებდეს კომინტერნის იერიშებს.**

„ეკო დე პარი" მხარს უჭერს ცანკოვს და აცხადებს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან მოსპობა „ბულგარეთის საიმედო ბაზის, რომელიც იცავს მათ საბჭოთა თავდასხმისაგან".

ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა კალფოვმა განუცხადა „მატენის" კორესპონდენტს, რომ ბულგარეთის მთავრობა სცდილობს მიაღწიოს ბულგარეთის სახელმწიფოების თანამშრომლობას კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად. კალფოვმა გამოსთქვა კმაყოფილება სამხრეთ-სლავიის პრემიერ ნინჩიჩთან შეხვედრის გამო და განაცხადა, რომ ის განაგრძობს თავის მოგზაურობას ბალკანეთის სახელმწიფოებში.

აღმოსავლეთში

ბრძოლა მაროკკოში

პარიზი. 7 მაისი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" ენერგიულად ილაშქრებს მაროკკოში ფრანგების კამპანიის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ფრანგებმა ისე ძლიერად გაამაგრეს თავისი თავდაცვის ზონა, რომ რიფფებს აღარ შეუძლიათ აწარმოვონ შეტევა.

რეაქციონური პრესა მხარს უჭერს ომს მაროკკოში.

„ენფორმასიონი" წინასწარმეტყველობს, რომ ომი მიიღებს სერიოზულ და ხანგრძლივ ხასიათს.

პოლონეთის ამბები

მენშევიკების განმარტება 2 მაისს მომხდარ აფეთქების შესახებ.

ვარშავა. 7 მაისი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა სეიმში შეკითხვა იმ გარემოებათა გამო, რომელშიაც მოხდა ბომბის აფეთქება „ვალკა ლიუდუ"-ს შენობაში. შეკითხვაში ნათქვამია, რომ აფეთქების გამომწვევი ტროიანოვსკი მსახურობდა რედაქციაში „ოხრანკის" დავალებით და მისივე მითითებით მას უნდა დაემზადებია 1 მაისისათვის რამდენიმე ბომბა, თითქოს, კომუნისტებისათვის გადასაცემად.

სტუდენტების სიმშილობა.

ვარშავა. 7 მაისი. კრაკოვში სიმშილობა გამოაცხადეს კომუნისტმა სტუდენტებმა, რომლებიც დააპატიმრეს 1 მაისს გაზეთ „პიონერ"-ის არალეგალურად გამოცემისათვის.

უარყოფს.

ვარშავა. 7 მაისი. პოლონეთის ელჩი ვენაში უარყოფს ხმებს, თითქოს პოლონეთს განზრახული ჰქონდეს ახლო მომავალში მცირე ანტანტაში შესვლა.

პოლონეთი—ციხეა.

ვარშავა. 7 მაისი. იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სეიმში გრუშკომ განაცხადა, **რომ პოლონეთის 348 ციხეში იმყოფება 35.000-ზე მეტი პატიმარი.**

დეპუტატმა შმეროვსკიმ გაილაშქრა ოხრანკის მიერ პროვოკაციის სისტემათ გადაქცევის წინააღმდეგ.

პოლონელ მემამულეების „სასამართლო"

პოლონეთის სეიმის უკრაინელი დეპუტატების პროცესი

დახურულ კარებში

როვნო. 7 მაისი. 6 მაისს როვნოში დაიწყო პოლონეთის სეიმის უკრაინელი დეპუტატების—ვასინჩუკის, კოზიცკის და ჩუჩმაის პროცესი. პროცესზე ჩამოვიდა 12 უკრაინელი-დამცველი, რამოდენიმე მოწმე ბრალმდებელის მხრიდან და ასამდე მოწმე დამცველთა მხრიდან. ჩამოვიდნენ აგრეთვე უკრაინული და ებრაული პრესის წარმომადგენლები და საბჭოთა ჟურნალისტები. პოლონეთის პრესის წარმომადგენელთაგან არავინ არ გამოცხადებულა. როგორც სჩანს, **პოლონეთის პრესის წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ საქმე დახურულ სხდომაზე გაირჩეოდა.**

სხდომის გახსნისას სასამართლომ, პროკურორის მოთხოვნით გამოაცხადა, რომ საქმე დახურულ სხდომაზე გაირჩევა; დამცველებმა ამის გამო განაცხადეს, რომ არავითარი მოტივები არ არის იმისათვის, რომ საქმე დახურულ სხდომაზე გაირჩეს, რადგან ყველა მასალები დიდი ხანია უკვე გამოქვეყნებულია პოლონეთის პრესაში.

დამცველებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი

პროკურორის წინადადების თანახმად, სასამართლომ აუკრძალა ბრალდებულებს იყოლიონ სამი რწმუნებული, მათ შეუძლიათ იყოლიონ მხოლოდ ერთი რწმუნებული. საბრალმდებლო ნაწილის მოწმის დაკითხვის დროს სასამართლომ პასუხი არ გასცა ვასინჩუკის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ ვინ არის ერთერთი მოწმე და რა ხელობის კაცია ის. რომ დაემტკიცებიათ, რომ საბრალმდებლო ნაწილის მოწმეს, რომელმაც არ იცის უკრაინული ენა, არ შეუძლია სისწორით გადათარგმნოს დეპუტატების მიერ მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვები, დამცველებმა წინადადება მისცეს მოწმეებს გადაეთარგმნათ უკრაინულ ენაზე რამოდენიმე პოლონური სიტყვა. მოწმეებმა ვერ შესძლეს ამ სიტყვების გადათარგმნა.

დამცველი შევჩუკი იმ შეკითხვისათვის, რომელიც შეეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა გადაითარგმნოს უკრაინულ ენაზე სიტყვა „დონუნციაცია" (დაბეზღება), **თავმჯდომარის განკარგულებით გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან. ამ ინციდენტის შემდეგ ყველა დანარჩენმა დამცველებმა პროტესტის ნიშნად მიატოვეს სხდომის დარბაზი. თავმჯდომარემ განკარგულება გასცა გამოეწვიათ სხვა დამცველები, მაგრამ ბრალდებულებმა უარი სთქვეს ამაზე.**

ბრალდებულთა რწმუნებულებს, რომლებიც დარჩენ სხდომაზე, აეკრძალათ შენიშვნების ჩაწერა.

სასამართლო კი არა დაცინვაა

პროცესზე, რომელიც დამცველების გარეშე გრძელდება, ხშირათ აქვს ადგილი ინცინდენტებს. **დეპუტატებს აკრძალული აქვთ უკრაინულ ენაზე ლაპარაკი.**

ბრალდებულთა ერთერთმა რწმუნებულმა სასამართლოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ მიუხედავათ საქმის დახურულ სხდომაზე გარჩევისა, სხდომის დარბაზში იმყოფებიან სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული „ოხრანკის" აგენტები, თავმჯდომარემ უპასუხა, რომ აგენტები სხდომას ესწრებიან სამსახურის საქმეების გამო. როდესაც რწმუნებულმა განაცხადა, რომ ეს ეწინააღმდეგება სასამართლოს პროცედურას, **სასამართლოს თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა ამ რწმუნებულის დარბაზიდან გაყვანის შესახებ.**

დამცველთა მოწმეების დაკითხვის დროს თავმჯდომარემ რამოდენიმეჯერ უარყო ბრალდებულების მიერ წამოყენებული კითხვები. ის ხშირათ აწყვეტინებდა სიტყვას მოწმეებს, რომლებიც მის კითხვაზე აძლევდენ პასუხს და საერთოდ ყოველის მხრივ ხელს უშლიდა ჩვენების ჩამორთმევას. როდესაც თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რა არის სახელმწიფო, მოწმემ-დეპუტატმა ტარაშკევიჩმა უპასუხა, რომ **სოციალისტური თვალსაზრისით სახელმწიფო ბურჟუაზიის ხელში არის მშრომელთა ჩაგვრის იარაღი**,—თავმჯდომარემ შეაჩერა მოწმე და განაცხადა, რომ მას უკან მიაქვს ეს კითხვა, რადგან „მოწმემ არ იცის, თუ რა არის სახელმწიფო".

საერთოდ, მოწმეების და დამცველთა დაკითხვას მეტათ უხეში, სკანდალური ხასიათი აქვს.

უცხოეთის პრესა

ყალბი წერილების „მრეწველობა"

როგორც ცნობილია, „მოკავშირე" სახელმწიფოებმა ნება დართეს ბულგარეთის მთავრობას გაადიდოს თავისი შეიარაღებული ძალები 10 ათასი კაცით. სათანადო თხოვნის დასასაბუთებლათ ცანკოვმა გადაუგზავნა ინგლისის მთავრობას „დოკუმენტები" და მათ შორის თითქოს კომინტერნის „ინსტრუქციები" ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ ბულგარეთში. ეს ინსტრუქციები დაბეჭდილია იმ ბლანკებზე, რომელთა ფაბრიკა გერმანიაში აღმოაჩინა „როტე ფანემ". (როგორც მკითხველს ემახსოვრება, ერთი ასეთი ბლანკის სურათი ჩვენც მოვათავსეთ „კომუნისტში"). ყველა ეს „დოკუმენტები" გამოაქვეყნა გაზ. „ტაიმსმა". როგორც სჩანს, ყალბი ბლანკებისა და „კომინტერნის ინსტრუქციების" ფაბრიკა სრული დატვირთვით მუშაობს, რადგან ის აწოდებს ამ „საქონელს" ყველა ბურჟუაზიულ მთავრობებს.

ინგლისის მუშათა პარტიის გაზეთი „დეილი ჰერალდ" (22 აპრილის) ეხება თავის მეთაურ წერილში ამ ყალბი წერილების „მრეწველებს" და სწერს შემდეგს:

„მუშათა პარტიის კომიტეტი „ზინოვიევის წერილების" საქმის გამოსარკვევათ რომ ბ-ნ გუდშინსკის მიმართავდეს, რომელიც ბერლინში სცხოვრობს და „ამზადებს" ამ წერილებს,—ალბათ ჩვენ ბევრ საინტერესო ამბებს გავიგებდით. **ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომელთა საშუალებით იმის დამტკიცება სურთ, თითქოს მოსკოვს უდევს ბრალი ბულგარეთის ამბებში, წარმოადგენენ უსირცხვო თაღლითობას და სიყალბეს, წარმოადგენენ უსინდისო ცდას გააძლიერონ ბრძოლა რუსეთის ხალხის წინააღმდეგ. გაზ. „როტე ფანემ" გამოააშკარავა 24 მარტს ყალბი დოკუმენტების „მრეწველნი" ცენტრი და გამოაქვეყნა წერილების ბლანკი. სწორეთ ასეთსავე ბლანკზეა დაწერილი ბულგარეთის მთავრობის მიერ შეხანხლული სიყალბე. ჩვენ ყოველთვის ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ ერთხელ როდისმე მივაგნებდით კვალს „ზინოვიევის წერილების" ავტორებისას. ახლა ვიცით უკვე სად და როგორ მზადდება ეს წერილები".**

ამნაირათ კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა გაბედნიერდა ერთი ახალი დარგით, კომინტერნის (კერძოთ ზინოვიევის) ყალბი წერილების დამზადებით. ძნელი სათქმელია გავრცელდება თუ არა „მრეწველობის" ერთ ამ დარგზე კანონი „პერიოდული კრიზისებისა", მაგრამ დანამდვილებით იმის თქმა კი შეიძლება, რომ ჩვენ შევედით ამ მრეწველობის გაფურჩქვნის ხანაში.

უკანასკნელი ცნობები

კონფერენცია იარაღით ვაჭრობის შესახებ.

პარიზი, 7 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით იარაღით ვაჭრობის შესახებ ჟენევაში მოწვეულ კონფერენციის სხდომაზე ზოგიერთი ქვეყნების დელეგატებმა აღძრეს საკითხი, რომ შესაძლებელია საბჭოთა კავშირი არ შეუერთდეს ხელშეკრულებას, რომლის დადებაც სურს კონფერენციას. კონფერენციამ დაადგინა ჯერ-ჯერობით არ იმსჯელოს რუსეთის საკითხზე.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა შეერთებულ შტატების დელეგატ ბერტონის წინადადება მხრჩოლავი გაზების გატანის აკრძალვის შესახებ.

პოლონეთის დელეგატმა წინადადება შეიტანა აგრეთვე ბაქტერიოლოგიურ ომის აკრძალვის შესახებ.

არ ესიამოვნათ

პარიზი, 8 მაისი. საფრანგეთის რეაქციონური გაზეთები აღშფოთებულნი არიან ავტობუსთა გაფიცულ მუშების გამარჯვებით. გაზეთები ბრალსა სდებენ მწარმოებლებს იმაში, რომ მათ შეეშინდათ „ბოლშევიკების მუქარის“.

მენშევიკების პოლიციელები

კოპენჰაგენი, 7 მაისი. კოპენჰაგენის ახლო, ფრიდერიციაში, რამდენიმე დღის განმავლობაში სერიოზული შეჯახება ხდებოდა გაფიცულ მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. პოლიცია ჯოხებით ერეკებოდა დემონსტრანტებს, რომელნიც გარს შემოერტყენ ქალაქის თვითმართველობას და ესროდენ მას ქვებს. რეფორმისტული პროფორგანიზაცია შეუთანხმდა პოლიცმეისტერს 200 კაცისაგან მილიციის შექმნის საკითხში; ეს მილიცია პოლიციის მაგიერობას გასწევს. მილიციის სათავეში სდგას რედაქტორი.

დაპატიმრებული დემონსტრანტები გაანთავისუფლეს.

პირველი მაისობა თეირანში

თეირანი, 7 მაისი. გაზეთებში მოთავსებულია ცნობა საბჭოთა ორგანიზაციების მიერ თეირანში მოწყობილ პირველ მაისის დღესასწაულის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ დღესასწაულის ბრწყინვალე ხასიათს, რამაც რამდენიმე ათასი კაცი მიიზიდა.

ბრძოლა შეუთანხმებლების წინააღმდეგ

ბერლინი, 7 მაისი. „როტე ფანე“ აცხადებს, რომ ნაციონალისტების მიერ შეტანილ მთავრობის უნდობლობის გამოცხადების ფორმულისათვის კენჭის ყრას, რომელიც უნდა მოხდეს პარასკევს, 8 მაისს, დაესწრებიან ყველა კომუნისტი დეპუტატები და ერთხმად ხმას მისცემენ ბრაუნის მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომ პარტიის მინიმალური მოთხოვნილებები.

გაზეთი მოითხოვს ლანდტაგის გაშვებას და მოუწოდებს მუშებს კლასიური ფრონტის შექმნისა და წარმოებათა და პროფკავშირთა გაერთიანებისაკენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამცემლურ კოალიციურ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ჟანნა დ’არკის აჩრდილის შიში

პარიზი, 8 მაისი. მთავრობის მიერ აკრძალვის გამო, საფრანგეთის პატრიოტულმა ლიგამ უარი განაცხადა მანიფესტაციის მოწყობაზე ჟანნა დ’არკის ხსოვნის აღსანიშნავად. როგორც სჩანს პატრიოტული ლიგის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს რეაქციის კეთილმყოფელ დამოკიდებულებას მთავრობისადმი.

მცირე ანტანტის კონფერენციის დღის წესრიგი

ვენა, 8 მაისი. დღის წესრიგი მცირე ანტანტის კონფერენციისა, რომელიც შესდგება ბუქარესტში, შემდეგ კითხვებს შეიცავს: 1) საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, 2) მცირე ანტანტის დამოკიდებულება უნგრეთთან, საკითხი უნგრეთის სამხედრო ხარჯთაღრიცხვაზე და უნგრეთის განიარაღებაზე, 3) მცირე ანტანტის დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან, 4) მცირე ანტანტის შინაური საკითხები.

რუმინეთის ოფიციალური პრესა გადმოგვცემს, რომ საკითხები—პოლონეთის შესვლის შესახებ მცირე ანტანტაში და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ, არ იქნება აღძრული.

რუსეთის სესხის მეპატრონეთა კრება

პარიზი, 8 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პარიზში შესდგა რუსეთის ფრანგ კრედიტორთა მუდმივი ბიუროს და ცენტრალურ კომიტეტის წევრთა კრება.

მთავარმა დელეგატმა შარლ ფილიპმა გააცნო კრებას მარსელის კომერციულ სასამართლოს განაჩენის შინაარსი, რომლის იურიდიული საფუძვლების მიხედვით გათვალისწინებულია რუსეთის სესხის მეპატრონე ფრანგების დაკმაყოფილება.

შემდეგ ფილიპმა წაიკითხა ბრიანის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მთავრობას წინა მთავრობის პოლიტიკის მსგავსად აქვს მტკიცე სურვილი უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებანი, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ ვალდებულებების ძალით და რომლის პატივისცემის თავდებს იძლევა უფლების საერთო პრინციპები. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ ბრიანს განზრახული აქვს, როგორც კი მიიღებს საბჭოთა მთავრობის თანხმობას, დაუყოვნებლივ გამართოს მასთან სათანადო მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

დანია

პროფკავშირთა ყვითელ ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

კოპენჰაგენი, 7 მაისი. აქ გაიმართა დანიის პროფესიონალურ გაერთიანების წარმომადგენელთა გენერალური კრება, რომელსაც დაესწრო 570 დელეგატი. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ყრილობაზე ადგილი ქონდა სასტიკ შეჯახებას სამთომადნო მუშათა პროფკავშირების თავმჯდომარე—სოციალ-დემოკრატი ლიუნკსე სასტიკად აკრიტიკებდა პროფესიონალურ გაერთიანების გამგეობას ბრძოლის გაფართოებაზე უარის თქმისათვის და, კერძოთ, იმისათვის, რომ მან უარი განაცხადა ტრანსპორტის მუშათა გაფიცვისათვის მხარის დაჭერაზე. ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ ხუთისა მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს დამქირავებლებს განაახლონ მუშაობა იმ პირობების მიხედვით, რომელიც გამოიმუშავა შუამავალმა კომისიამ; ეს არ შეეხება მხოლოდ მუშაობას ლითონის წარმოებებში. უკანასკნელთა შესახებ უნდა დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რადიოს გამოგონების 30 წლის თავის გამო.

ლენინგრადი. 7 მაისი. ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო სხდომა რუს მეცნიერის პოპოვის მიერ რადიო-ტელეგრაფის გამოგონების დღიდან 30 წლის თავის აღსანიშნავად. დღესასწაულზე დასასწრებლად მოსკოვიდან ჩამოვიდენ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილე ლიუბოვიჩი, ნიჟეგოროდის რადიო-ლაბორატორიის გამგე პროფესორი ბონჩ-ბრუევიჩი და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სრულიად საკავშირო რადიო-ყრილობა.

მოსკოვი, 8 მაისი. გაიხსნა სრულიად საკავშირო რადიო-ყრილობა.

ამხ. ტროცკი მოსკოვში.

მოსკოვი, 8 მაისი. 7 მაისს მოსკოვში ჩავიდა ამხ. ტროცკი.

უკრაინა

ოსმალეთის ციხის აღდგენა კამენეც-პოდოლსკში.

ხარკოვი, 29 მარტი. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო შესაფერი თანხა ოსმალეთის ყოფილი ციხის აღსადგენად კამენეც-პოდოლსკში. ციხე დიდ ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს.

ნათესები უკრაინაში

ხარკოვი, 29 აპრილი. უკრაინაში დამთავრდა ნაადრევი თესვა. ხშირი წვიმების გამო საზამთრო ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკეთდა და საჭირო აღარ არის ხელახლა დათესვა.

ორშაბათს, 11 მაისს, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში
(ოთახი № 1), საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილისის აღმასკომის კრება

დღის წესრიგი: 1) უნივერსალური მაღაზიის გახსნის შესახებ.
2) თბილისის გარეუბნებში ზაჰესის ენერგიის მიწოდების შესახებ.
3) მიმდინარე წლის 1 ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა აღმასკომის წევრთა და კანდიდატთა დანიშნულ დროზე სავალდებულოა.

ნის. 1139. 2—1

რუსეთის საბჭოთა მე-12 ყრილობა

უპარტიო დელეგატების თათბირი

მოსკოვი. 8 მაისი. შესდგა რ. ს. ფ. ს. რ-ის საბჭოთა მეთორმეტე ყრილობის უპარტიო დელეგატების თათბირი. თათბირს დაესწრო დაახლოვებით 800 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ადგილებს. ირჩეოდა საკითხი ყრილობის პრეზიდიუმში კანდიდატების წამოყენების შესახებ.

კალინინის წინადადებით, თათბირმა გადასწყვიტა ასე გაანაწილოს 15 ადგილი, რომელიც დათმობილი აქვთ უპარტიოებს პრეზიდიუმში: სამი დელეგატი ქალი, 10 გლეხი რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებიდან, ერთი უპარტიო მუშა და ერთი უპარტიო წითელარმიელი. კანდიდატები დასახელებული არიან. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად წამოყენებული იქნა კალინინი.

ყრილობის გახსნა

მოსკოვი 8 მაისი. 7 მაისს, საღამოს 7 საათზე, დიდ თეატრში გაიხსნა საბჭოთა მეთორმეტე ყრილობა. დიდი თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო დელეგატებით.

ყრილობას ხსნის ამხ. კალინინი, რომელიც წინადადებას აძლევს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივისცეს ლენინის და სრულიად რუსეთის ცაკის ყველა იმ წევრების ხსოვნას, რომლებიც გარდაიცვალენ ამ ხნის განმავლობაში.

ყრილობა ირჩევს 65 დელეგატისაგან შემდგარ პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან: 20 დელეგატი ცენტრიდან, დანარჩენები—ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლები. ყრილობის თავმჯდომარედ ირჩევენ კალინინს, მდივნად—კისელევს. პრეზიდიუმში არჩეულია ბუდიონი წითელი არმიიდან და ფლოტიდან. პრეზიდიუმის წევრებს შორის არიან: თურქმენი ქალი, ეროვნულ ტანისამოსში, ყირგიზი ქალი, რამოდენიმე გლეხი ქალი და გლეხები.

ყრილობის კომფრაქციის სახელით ლაშევიჩი მოითხოვს მოხსნილ იქნეს დღის წესრიგიდან მთავრობის მოხსენება და მოსმენილ იქნეს ის მომავალ სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე. წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგ მოხსენებით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ გამოვიდა სემაშკო.

ამხ. კალინინის სიტყვა

მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება.

„რ.ს.ფ.ს.რ-ის ისტორიული, გზა მეთერთმეტე ყრილობიდან მეთორმეტემდე აღნიშნულია განსაკუთრებული დრამატიული მომენტით—ვლადიმირ ილიჩის სიკვდილით. მძიმე განცდებს, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვენი ბელადის სიკვდილით, ზედ დაერთო იმის შიში, თუ როგორ გაართმევდა თავს საბჭოთა მთავრობა რთულ საერთაშორისო პოლიტიკას და მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის დაცვის ამოცანას. ეს ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხი ჰბადებდა სერიოზულ შიშს მთელი ჩვენი კავშირის მოქალაქეებს შორის და დიდ იმედებს იწვევდა ჩვენს მტრებს შორის. მაგრამ, მიუხედავად კაპიტალიზმის გაძლიერებისა დასავლეთ ევროპაში, დღითი დღე უმჯობესდება საბჭოთა კავშირის და კერძოთ რ.ს.ფ.ს.რ-ის მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე.

იყო ცალკე მომენტები, როცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების გაბუდულმა პოლიტიკოსებმა სცადეს საბჭოთა კავშირის დასუსტება გაბედული აქტით, მაგრამ მათი ყველა ცდები იმსხვრეოდენ საბჭოთა კავშირის სიმაგრეზე.

პირველი მაისის დემონსტრაციის მნიშვნელობა

თუ ჩვენ დავაკვირდებით ჩვენი ქვეყნის შინაგან განვითარებას, ყველაზე ნათელ შტრიხად და ჩვენი მიღწევების მაჩვენებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ დემონსტრაცია, რომელიც ჩვენ ვნახეთ 1 მაისს. ამ დემონსტრაციამ დაანახვა მთელს მსოფლიოს ის განუყოფელი კავშირი, რომელიც არსებობს მუშათა კლასსა, მთავრობასა და კომპარტიას შორის. 1 მაისს მშრომელთა ფართო მასები ცხადჰყოფდენ მთელი მსოფლიოს წინაშე თავის სიმპატიებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რაც წარმოადგენს საუკეთესო პასუხს ჩვენი მტრების მიმართ და ჩვენი წარმატებების საუკეთესო ნიშანს.

მუშების და გლეხების კავშირი წარმოადგენს რესპუბლიკის ქვაკუთხედს.

ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლასმა გამოიჩინა სიმწიფე თავის პოლიტიკურ ნაბიჯებში. ილიჩის ანდერძის მიხედვით, მან უდიდესი ყურადღება მიაქცია გლეხთა მასებს. და შიში, რომელიც არსებობდა პირველ დღეებში ილიჩის გარდაცვალების შემდეგ, არ გამართლდა: ეხლა, ისევე როგორც ილიჩის დროს, მუშების და გლეხების კავშირი წარმოადგენს ქვაკუთხედს, მუშათა კლასის მთავარ საზრუნავ საგანს.

და თუ ჩვენ დღემდე ვახერხებდით ისეთი ხაზის გამონახვას, რომელიც სულ უფრო და უფრო გვაკავშირებს ჩვენ გლეხობასთან და აბამს უკანასკნელს აღმშენებლობის პროცესში, არავითარი ეჭვი არ შეგვიძლია შევიტანოთ იმაში, რომ მომავალშიაც ჩვენ შევსძლებთ მუშების და გლეხების იმ მჭიდრო კავშირის დაცვას, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკის მთავარ ძალას“.

ამხ. სემაშკოს მოხსენება სახალხო ჯანმრთელობის შესახებ

ჩვენი ამოცანაა სრული გაჯანსაღება.

„მთავარ ამოცანას, რომელიც დაისახა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა, წარმოადგენს არა მარტო დასნეულებულთა ექიმობა, არამედ აგრეთვე ზომების მიღება სნეულებათა გაჩენის შემთხვევების შესამცირებლად. თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მწარმოებლები დაინტერესებული არიან მით, რომ მხოლოდ მოარჩინონ მუშები, რათა საშუალება ჰქონდეთ კვლავ მოიყვანონ ისინი სამუშაოდ, ჩვენს ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა საერთო გაჯანსაღება. ამ პოლიტიკას გვიკარნახებს ჩვენ აგრეთვე ის მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა ძველმა რეჟიმმა ყოფა-ცხოვრების სნეულებათა მასიური გავრცელების სახით. სიკვდილის შემთხვევების 25 პროცენტი მეფის რეჟიმის დროს უწევდა მშრომელებს, რაც გამოწვეული იყო მუშაობის დუხჭირი პირობებით და ელემენტარული ჰიგიენური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით.

წარმატებით ვიბრძვით მშრომელთა ჯანმრთელობისათვის.

შედეგები, რომლებიც უკვე გვაქვს ამჟამად, მოწმობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პოლიტიკის სისწორეს. ომამდე სიკვდილიანობა ათას კაცზე უდრიდა 27,3 პროცენტს, ხოლო 1923 წელს ის დაეცა 22,7 პროცენტამდე. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა გაიზარდა ომამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით 2,3 პროცენტით. ამჟამად ძალზე შემცირდა და ზოგიერთ შემთხვევებში სულ შეწყდა ეპიდემია, რომელიც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის პერიოდში იწირავდა ასეულ ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს. მეფის არმიაში ათას კაცზე დასნეულების პროცენტი უდრიდა ხუთს, ხოლო 1924 წელს ეს პროცენტი შემცირდა 0,23-დე“.

რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად.

შემდეგ სემაშკო აღნიშნავს, რომ საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხვი. ამ ამოცანის შესასრულებლად ჯანსახკომი მიმართავდა სწავლების მეთოდს; ის საშუალებას აძლევდა მოსახლეობას და უმთავრესად დედებს შეესწავლათ ბავშვების კვების, აღზრდის წესები. მთელი ამ მუშაობის გაწევა,—აღნიშნავს სემაშკო,—ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის მთელს მასას ვაბამდით ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში. მოსახლეობამ ჰპოვა ისეთი სახის დახმარება, რომელზედაც ვერც კი იოცნებებდა მეფის რუსეთში. უფასო დახმარება სახლში, ბაგები, საბავშვო სახლები, დისპანსერები, სანატორიუმები—აი რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს თავისი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

სოფლებში.

მაგრამ სოფლებში ჯანმრთელობის დაცვის საქმე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. ყოვლად დაუშვებელია, რათა მთელ რიგ გუბერნიებში სოფლად ერთი სულის ჯანმრთელობის დაცვაზე სულ იხარჯება 16 დან 40 კაპეიკამდე. სოფლებში არ შეიძლება საექიმო დახმარების საქმეში განსხვავებული იქნენ ერთმანეთისაგან დაზღვეულები და არა დაზღვეულები. საჭიროა საექიმო პერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეხება რა იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე მახლობელი პერიოდის განმავლობაში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჯანსახკომი აფართოებს ამ ჟამად საზაფხულო ბაგების ქსელს. ადგილობრივმა ორგანოებმა ამ საქმეში დახმარება უნდა აღმოუჩინონ ჯანსახკომს, რაც გააძლიერებს ბრძოლას ბავშვთა სიკვდილიანობასთან.

ფიზკულტურის მნიშვნელობა

ეხება რა ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურას ეხლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ის აადვილებს ახალგაზრდობის ჩაბმას საერთო პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში და იძლევა დიდ შედეგებს ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განვითარების მხრივ.

სემაშკოს სიტყვა სწყდება მქუხარე ტაშის ცემით, რომელსაც იწვევს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის გამოჩენა ტრიბუნაზე. ხუთი წუთის განმავლობაში ოვაციები საშუალებას არ აძლევს მომხსენებელს განაგრძოს მოხსენება. როცა დარბაზი წყნარდება, სემაშკო ლაპარაკობს საკურორტო საქმის მდგომარეობაზე.

კურორტები წარმოადგენენ პროლეტარიატის ჯანმრთელობის სამჭედლოებს.

ჩვენი კურორტები წარმოადგენენ მშრომელთა ჯანმრთელობის სამჭედლოებს. მსოფლიოში პირველად ჩვენს მიერ არის გახსნილი კურორტები სპეციალურად გლეხებისათვის. ლივადიის სასახლეში, სადაც ცხოვრობდენ დესპოტი ალექსანდრე მე 3-ე და ჭკუანაკლული ნიკოლოზ მე-2-ე, ეხლა უჭირავთ გლეხებს, რომლებიც ჩავიდენ საექიმოდ და იქიდან თავის სალამს უძღვნიან სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარეს.

სემაშკოს მოხსენების შემდეგ სხდომა იხურება.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ც. ს. კ. მონაწილეობა სოფლად პარტიულ მუშაობაში

ამხ. იაკოვლევის მოხსენება

მოსკოვი, 8 მაისი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის 5 მაისის დღის სხდომაზე იაკოვლევმა გააკეთა მოხსენება სოფლად პარტიულ მუშაობაში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მონაწილეობის შესახებ.

იაკოვლევმა განაცხადა, რომ მთავარ საშუალებათ, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ 20 მილიონიან გლეხურ მეურნეობაზე თავისუფალ ვაჭრობის პირობებში, ითვლება ბაზარი. აქედან გამომდინარეობს იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილების საჭიროება, რომელიც ხელს უშლის გლეხურ მეურნეობის აღორძინებას,—ამოცანა—მთლიანად გამოვიყენოთ გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის ბაზარი.

სასოფლო-მეურნეობის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია აგრეთვე საზღვარ-გარეთ ექსპორტის განვითარებაზე. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მოვალეობას შეადგენს შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ექსპორტისათვის.

სოფლის სამეურნეო აღორძინება მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიისაგან უფრო მეტ ყურადღებას სოფლის ეკონომიურად უფრო ძლიერ ფონდისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ, რათა არ დაირღვეს ახალი კანონი ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სამრეწველო კოოპერაციის დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს ეკისრებათ თვალყური ადევნონ მთავრობის მიერ მიღებულ ზომების ცხოვრებაში გატარებას, რათა გაადვილებულ იქნას შინამრეწველთა სამეურნეო მოწყობა.

გლეხური მეურნეობის კოოპერატივებში გაერთიანების და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარების მხრივ საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას კოოპერაციის ყველა ორგანოების ნამდვილი არჩევითი სისტემა და კოოპერატივებში გაერთიანებულ მცხოვრებთა ფართო თვითმოქმედება.

საჭიროა თვალყური ედევნოს დაქირავებული შრომის და იჯარის ხმარების სისწორეს და აგრეთვე მიღებული იქნას მონაწილეობა შრომის დაცვის კანონმდებლობის დამუშავებაში სასოფლო-მეურნეობის პირობებში

შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ბიუჯეტს. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ორგანოებმა ადგილობრივ ბიუჯეტების განხილვის დროს უნდა მიაღწიონ იმ ხარჯების გადიდებას, რომელიც ხმარდება გლეხობის კულტურულ სამეურნეო საჭიროებებს.

მემამულეთა დასაცავად

(თეთრგვარდიელთა პრესიდან)

„რულ“-ი მეთაურ წერილში „დარბევა შენიშვნებით“, რომელიც მოთავსებულია 7 აპრილის № 1321-ში, თვალცრემლიანი გამოდის იმ მემამულეთა დასაცავად, რომლებიც გადარჩენ ზოგან და მოაღწიეს რევოლიუციის მერვე წლამდე.

> „ამას წინათ საბჭოთა პრესაში დაიწყო ახალი კამპანია. მრავლათ იბეჭდება დაბეჭდების წერილები იმის შესახებ, რომ სადღაც მიყრუებულ კუთხეებში ყოფილი მემამულეები განაგრძობენ მიწათმოქმედებას თავისი ყოფილი მიწების ნაკვეთებზე“.

„ყოფილი მემამულეები განაგრძობენ მიწათმოქმედებას“... ჩვენ არ გვინდა დავამძიმოთ მიმოხილვა და მოვიყვანოთ ამონაწერები ცენტრალური და პროვინციალური პრესიდან, საიდანაც სჩანს, რომ ყოფილმა მემამულეებმა ხელი მოჰკიდეს, უმთავრესად, სამგვარ საქმეს: 1. ისინი სარგებლობენ თავისი მოქნილობით და გაიძვერობით და ყვლეფენ გლეხებს, 2. ისინი არიან კულაკების იმედების გაერთიანების ცენტრი და 3. მათ სხვადასხვა ხრიკებით შეინარჩუნეს გაცილებით უფრო მეტი მიწები, ვიდრე ეს ნებადართულია შრომითი ნორმით. ჩვენთვის ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ „რულ“-ს უნდა სხვანაირათ გაიგოს ეს.

> „ეს მოვლენა (რომ მემამულეები გადარჩენ —ლ. ა.) მცირე მასშტაბითაც კი საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ გლეხთა სულიერი განწყობილება, რომელიც ძალიან განსხვავდება გაბატონებული შეხედულებებიდან.
>
> როდესაც ხელისუფლებამ შეამჩნია ეს მოვლენა, მან მიიღო ზომები მის მოსასპობათ“.

განა ასეთი ვაჟბატონებისაგან შეიძლება მოველოდეთ იმას, რომ მათ შეიგნეს ის, რაც რუსეთში ხდება? და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ „რულ“-ი არსებითად ყოფილი მემამულეების ორგანოა, მაშინ სავსებით გასაგები გახდება „რულ“-ის სულიერი განწყობილება. თავის იმედებს ის ამყარებს გლეხობაზე. „გლეხს უნდა ბატონი“—აი რას ამბობს „რულ“-ი. და ეს საზიზღარი საბჭოთა ხელისუფლება რომ არ იყოს, გლეხი დაუბრუნებდა ყველა მიწებს მემამულეებს და მოიწვევდა მათ, რომ იბატონონ. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებაა ამის წინააღმდეგი.

თქვენ ეჭვი გეპარებათ იმაში, რომ გლეხობა დაუბრუნებდა მიწებს მემამულეებს? ჩვენც აგრეთვე ეჭვით ვუყურებთ ამას! მაგრამ „რულ“-ი კი დარწმუნებულია ამაში.

> „თუ მემამულეებს აქა-იქ შერჩათ მიწები, ეს მხოლოდ მახლობელ გლეხების კეთილ სურვილს უნდა მიეწეროს“.

მაგრამ. . საბჭოთა ხელისუფლება...

> „გლეხის კეთილი სურვილები ბატონის მიმართ, თუ გინდ ყოფილი ბატონის მიმართაც კი, არის თვით საბჭოთა წესწყობილების უარყოფა“.

აი როგორ გამოუდის „რულ“-ს. გლეხობა „უარყოფს“ საბჭოთა ხელისუფლებას იმიტომ, რომ გლეხებს უნდათ მიწების დაბრუნება მემამულეებისათვის, საბჭოთა ხელისუფლება კი ამის საშუალებას არ აძლევს მათ. საწყალი მემამულეები!

დასასრულ „რულ“-ი სწერს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ:

> „მას რცხვენია თავისი საქმეების და თავისი საბუთების. იწყება მარაზმი, ფილაჯობა“.

წარმოიდგინეთ, საბჭოთა ხელისუფლებას, თურმე, უნდა რცხვენოდეს იმის, რომ ის მიწებს ართმევს ზოგიერთ მიყრუებულ კუთხეებში გადარჩენილ მემამულეებს და ამას სჩადის, „რულ“-ს რომ დავუჯეროთ, გლეხობის სურვილის წინააღმდეგ.

მართლაც რომ „მარაზმი იწყება“ „რულ“-ის რედაქციაში, რომელმაც დაასკვნა, რომ ჩვენი გლეხობა მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც ის თავის ზურგზე დაისვამს მემამულეს.

ლ. ა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ხანძარი „აზნეფტ“-ის საწყობში.

ბაქო, 7 მაისი. 7 მაისს ღამით „აზნეფტ“-ის ტეხნიკური მომარაგების განყოფილების მთავარი მაღაზიის ერთ-ერთ კორპუსში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც თანდათან გაძლიერდა.

ცეცხლისაგან განადგურებულია საწყობის შენობა საქონლით—საღებავებით, ლაქით და სხვ.

ცეცხლი საბოლოოდ ჩაქრობილ იქნა დილის 7 საათზე. სასწრაფოდ მიღებულ ზომების შემწეობით გადარჩენილ იქნა ახლო მდებარე ნავთის აუზები.

ზარალი დიდია: აღემატება 100,000 მანეთს. ცეცხლის გაჩენის მიზეზს იკვლევენ.

საგარაკო სეზონისათვის

ბინების 75 პროც. მუშებს დაეთმობა

მიმდინარე 1925 წლის საგარაკო სეზონის განმავლობაში საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ აბასთუმანში და ბორჯომში გასაქირავებელი მთელი საბინაო მოედნის 75 პროც. გადადებული იქნება პროფორგანიზაციათა წევრების საჭიროებისათვის, 25 პროც. კი—სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის.

ოთახების ფასები

ოთახები, რომლებიც მიეცემა პროფკავშირების წევრებს აბასთუმანში, დაყოფილი იქნება სამ კატეგორიათ და მათზე დაწესდება შემდეგი ფასები:

პროფკავშირების წევრებმა, რომლებიც თვეში იღებენ შრომის ხელფასს 100 მანეთამდე, მთელი სეზონის განმავლობაში უნდა გადაიხადონ თვითეულ ოთხკუთხ არშინზე: 1-ლი კატეგორიის ოთახები—1 მან. 50 კ. მე-2-ე კატ.—1 მან. 25 კ. და მე-3 კატ.—1 მ.

იმ წევრებმა, რომლებიც იღებენ 100 მანეთიდან 200 მანეთამდე: 1-ლი კატეგორიის ოთახები—2 მან. მე-2 კატეგ.—1 მ. 50 კ. და მე-3 კატეგ.—1 მ. 25 კ.

სხვა კატეგორიის მოქალაქეები და აგრეთვე ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 200 მანეთზე მეტს, იხდიან საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ დაწესებულ ფასს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა მთავარ საკურორტო სამმართველოს მიიღოს სასწრაფო ზომები გასული 1924 წლის საბინაო ქირის დავალიანების შესაკრებათ და მიმდინარე წელში ქირის წინდაწინ გადაუხდელათ არ მისცეს ოთახებზე ორდერი.

ამასთანავე პროფსაბჭომ საჭიროთ სცნო აბასთუმანში ოთახები მიეცეს მხოლოდ იმ პირებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს აბასთუმანში ყოფნას. ამ მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა აბასთუმანი გამოცხადებული იქნეს დახურულ აგარაკათ.

ბორჯომში გამოყოფილი იქნება სპეციალური საექიმო კომისია, რომელიც შეამოწმებს კურორტზე მიმავალ ავადმყოფებს.

ბორჯომ-აბასთუმანის გარდა, დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი გაგზავნილი იქნებიან საექიმოთ აგრეთვე წყალტუბოსა და ახტალაში.

საბავშვო საექიმო სახლი კოჯორში

მიმდინარე საგარაკო სეზონის განმავლობაში კოჯორში იხსნება საბავშვო საექიმო სახლი, რომლის ხარჯთაღრიცხვა 25.207 მან. 75 კაპ. რაოდენობით უკვე დამტკიცებულია საქართველოს პროფსაბჭოს მიერ.

ბავშვთა საექიმო სახლში გაიგზავნებიან 75 პროც. ფიზიკურ მომუშავეთა შვილები და 25 პროც. გონებრივ მუშაკთა შვილები.

ბავშვები გაიგზავნებიან 6—12 წლამდე.

პარტიული ცხოვრება

სოფლის უჯრედების მუშაობა უფრო უკეთ უნდა შუქდებოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუჯრედი სოფლად ერთად-ერთი საქმიანი და ცოცხალი ორგანოა, რომლის მუშაობაზეა დამოკიდებული სოფლის მდგომარეობის ავ-კარგი. თუ კომუჯრედი მიძინებულია—სოფელიც ზანტად მიიმართება წინ, ხოლო თუ კომუჯრედი მტკიცედ სდგას თავისი ინტერესების სადარაჯოზე, სოფელიც გამოცოცხლებას განიცდის და მუშაობის ფერხულშია ჩაბმული.

მაგრამ აქ ჩვენ გვსურს შევჩერდეთ ერთ საკითხზე; ეს ის, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენ გავიცნოთ ჩვენი სოფლის უჯრედების მუშაობა იმ რიგად, როგორადაც ის მიმდინარეობს, და მით უზრუნველვყოთ პარტიის ქვემდგომ ორგანოების მხრივ სწორი ხელმძღვანელობა.

ერთ-ერთ საშუალებას სოფლის უჯრედების და თვით სოფლის მუშაობის გასაცნობათ კორესპონდენციები შეადგენენ, რომლებშიაც უნდა სჩანდეს სოფლის ნამდვილი მდგომარეობა. სამწუხაროთ იქ იშვიათად წააწყდება თვალი სხვა რამეს, გარდა იმისა, რომ მოვაწყვეთ დრამწრე, ავირჩიეთ ესა თუ ის კომისია, ამა თუ იმ ამხანაგმა გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება და სხვ. ყოველივე ეს არაა საკმაო იმისათვის, რომ ჩვენ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სოფლად მიმდინარე მუშაობის შესახებ.

ჩვენს კორესპონდენციებში სამწუხაროთ სოფელი მოსჩანს უმთავრესად თავისი დადებითი მხარეებით. ჩვენი კორესპონდენტების უმრავლესობა მორიდებით ეხებიან ჩვენს დეფექტებს. ზოგს ალბათ ჰგონია, თუ სოფლად არსებული მდგომარეობა სრულიად და უნაკლოდ გადასცეს გაზეთს, ამით საშუალება მიეცემა ჩვენს მოწინააღმდეგეებს აგიტაციის გასაძლიერებლად, ზოგიც ალბად ერიდება თავისი პარტიული ამხ. წყენას და მის ნაკლს სავსებით არ ამჟღავნებს.

ამავე დროს კი საბჭოთა ხელისუფლების [illegible] სად ნაკლის აღმნიშვნელი კორესპონდენციები, რადგან ცენტრი ასეთი კორესპონდენციის მიხედვით სასწრაფოდ იღებს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამნაირად სოფლის კორესპონდენტის მახვილი თვალი უნდა აღნიშნავდეს სოფლად არსებულ დეფექტებს.

ქალაქებში ამ მხრივ კორესპონდენციების და შენიშვნების საქმე ჯეროვან სიმაღლეზეა დაყენებული. სოფლის კორესპონდენტებმაც ხელი უნდა შეუწყონ დეფექტების უფრო უკეთ აღმოჩენას, რომ დროზე იქნას მიღებული საჭირო ღონისძიებანი.

მეორეს მხრივ ერთი სოფლის მუშაობის ნაკლის აღნიშვნა ხელს უწყობს მეორე სოფლის მუშაობის გამოსწორებასაც, რადგან მეორე სწავლობს პირველის მაგალითზე რას უნდა ებრძოლოს და, პირიქით, რა უნდა გააძლიეროს.

სოფლის კარგ კორესპონდენტს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პარტიის საკონტროლო კომისიისათვის, რომ აღმოჩენილი იქნას ესა თუ ის პარტიასთან მიტმასნებული კარიერისტი, რომელიც სოფლად მუშაობის დროს თავისი არა კომუნისტური საქმიანობით სცემს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს.

სოფლის უჯრედების შესწავლისათვის, ერთის მხრივ, და, მასთან დაკავშირებით, სოფლად მიმდინარე მუშაობის უფრო უკეთ გასაცნობათ, საჭიროა, რომ ჩვენი პარტკორების კორესპონდენციები განვკურნოთ ყოველგვარი „კაზიონშჩინისაგან“ და მათში აღვნიშნოთ ჩვენი პარტმუშაობის როგორც დადებითი, ისე უმთავრესად მისი უარყოფითი მხარეები.

ი.—ე.

კომკავშირის საკითხები სოფლად

კავშირის ზრდა

კომკავშირის სოფლათ მუშაობის ერთერთი ძირითადი საკითხია კავშირის შემდგომი ზრდის საკითხი.

კავშირის კარების გამოკეტვა სოფლათ ჩვენ არ შეგვიძლია.

ზოგიერთ ჩვენს მაზრებში მიღებული იყო დადგენილებები იმის შესახებ, რომ დროებით შეწყვეტილი ყოფილიყო გლეხთა ახალგაზრდობის მიღება კავშირში, მაგრამ ასეთი დადგენილებები მხოლოდ ართულებდენ საქმეს. ამიტომ კავშირის კარების გამოკეტვა, როდესაც გლეხთა ახალგაზრდობის ლტოლვა კომკავშირისაკენ თანდათან იზრდება, არ შეიძლება.

ჩვენი სამაზრო ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობა მრავალ ადგილებში არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ღარიბები ცოტაა, საშუალო გლეხთა ახალგაზრდობა ხშირათ გაცილებით მეტია. ჩვენმა კავშირმა, თანახმად ა. ლ. კ. კ. ცეკას წინადადებისა, უნდა აიღოს გადამწყვეტი ხაზი: მომავალში კავშირის ზრდა უნდა ხდებოდეს უმთავრესად ღარიბი და ბატრაკული ახალგაზრდობის ხარჯზე, მაგრამ ამასთანავე კავშირის კარები არ უნდა გამოუკეტოთ საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს.

ა. ლ. კ. კ. ცეკას უკანასკნელი პლენუმის ეს ხაზი მხოლოდ მაშინ იქნება განხორციელებული, როდესაც მას კარგათ შეიგნებს და შეითვისებს კავშირის ქვედა საფეხურის გლეხური აქტივი. ჩვენმა ორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გააცნოს ამ აქტივს ეს ხაზი.

აქტივი

ამასთან ერთად სერიოზულათ სდგას საკითხი ჩვენი სოფლის აქტივის შესახებ.

მთელ რიგ ორგანიზაციებში ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზაციის აქტივი უმთავრესათ შესდგება საშუალო გლეხობის ახალგაზრდობისა და მოწაფეებისაგან. თუ ჩვენ ქალაქებში მოვახერხეთ მუშური ელემენტების გაძლიერება კავშირის ხელმძღვანელ კადრებში, სოფლათ ღარიბების და ბატრაკების წამოყენება ორგანიზაციის აქტივში გაცილებით უფრო ნელა ხდება.

კავშირმა ამ მხრივ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რომ გააძლიეროს აქტივობა ღარიბი და ბატრაკული ახალგაზრდობისა, რომელიც ჩვენს კავშირშია შესული, და წამოაყენოს ის ორგანიზაციის აქტივში.

საჭიროა დაძლეულ იქნეს უჯრედების ბიუროებში და თემკომებში ახალი, გამოუცდელი მუშაკების წამოყენების შიში. თუ ახალგაზრდა გლეხს არ წაუკითხავს „კაპიტალი“, ეს მაინც საბუთათ არ გამოდგება იმის წინააღმდეგ, რომ ის წამოყენებული იქნეს სოფლის უჯრედის ან თემკომის სამდივნოში.

ამ მიმართულებით სამაზრო კომიტეტებმა უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები ღარიბი და ბატრაკული ახალგაზრდობის წამოსაყენებლად უჯრედების ბიუროებში და თემკომებში.

ამასთანავე კომკავშირელების პარტიაში გადარიცხვის დროს საჭიროა მხედველობაში მიღებული იქნეს ის, რომ საჭიროა ამის გატარება სოფლის აქტივის მიმართაც. ჩვენს ლოზუნგათ უნდა გახდეს—კომკავშირის უჯრედის მდივანი—პარტიული ამხანაგი.

კომკავშირის უჯრედების ბიუროებში კომპარტიის წევრების და კანდიდატების რიცხვის გადიდებით ჩვენ არა მარტო გავაძლიერებთ პარტიის მიერ ჩვენი კავშირისათვის ხელმძღვანელობის გაწევას, არამედ ხელს შეუწყობთ ა. ლ. კ. კ. სოფლის აქტივის ჯანსაღ ზრდას.

ა. ბ—სკი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ფოსტის ა. ლ. კ. კ. უჯრედში

ფოსტის ა. ლ. კ. კ. უჯრედი ერთიან საკავშირო დღეებში სისტემატიურად მართავს ღია კრებებს, რომლებსაც წევრთა და კანდიდატთა საერთო რიცხვთან შედარებით უპარტიო ახალგაზრდობის 30 პროც. ყოველთვის ესწრება, უკანასკნელ ღია კრებაზე დასმული იყო საკითხი უჯრედის მუშაობის ავ-კარგიანობის შესახებ, რომელიც უნდა გარჩეულიყო რაიკომის წარმომადგენლის თანდასწრებით. რადგან უკანასკნელ ხანებში უჯრედის და რაიკომის კავშირი რამდენადმე მოისუსტებდა ამიტომ რაიკომმა საჭიროდ სცნო, ამ საკითხის დასმა და გარჩევა, რათა გამორკვეულიყო თუ რა მხრით მოისუსტებს უჯრედის მუშაობა და რა მხრით სჭირია მას დახმარება.

ამ საკითხის გარჩევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც წევრთა ისე უპარტიო ახალგაზრდობის მხრით. ამხანაგები აღნიშნავდნენ მთელ რიგ მიღწევებს და ნაკლებს, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი უჯრედის საერთო მუშაობას, კერძოდ კი გამოირკვა, რომ პირველ ხანებში უჯრედი თავისი გარშემო აერთიანებდა 4 წევრს, ხოლო ერთი წლის განმავლობაში უჯრედი გაზრდილა თითქმის ათჯერ და დღეს აერთიანებს 32 წევრს და 7 კანდიდატს. მეორე მიღწევაა პიონერთა ორგანიზაციის დაარსება რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია ამჟამად. გამოყოფილია კომ-კავშირელნი მუშ. საკ. კომისიაში და კულტ-კომისიაში. ავტორიტეტი უჯრედისა საკმაოდ მაღლა სდგას წარმოების და განსაკუთრებით უპარტიო ახალგაზრდობაში, ყველა წევრები აქტიურად არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში დაარსებულია „რკ.ემედსის“ უჯრედიც და სხვა... რაიკომის წარმომადგენელი განსაკუთრებულ კმაყოფილებას აღნიშნავდა საკუთარ კლუბის აგებას, რომელიც არ მოეძებნება ზოგიერთ მაზრკომსაც კი.

მაგრამ უჯრედს მუშაობის სათანადო ნაკლულოვანებანიც ახასიათებს; სახელდობრ კი ორგანიზაციული მუშაობა ჯერ-ჯერობით სავსებით დასრულებული არ არის, მოისუსტებს აგრეთვე ახალგაზრდობის ლენინური, პოლიტიკური აღზრდა სუსტია კავშირი წითელ ლაშქართან და აგრეთვე კომკავშირის მუშაობა პიონერთა შორის.

მეორე საკითხი რომელიც იდგა უჯრედის დღის წესრიგში, იყო საშეფო სოფელ შაშიანში მუშაობის გეგმის დამტკიცება. დამტკიცებულ გეგმის თანახმად საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ უფრო მტკიცე კავშირი იქნეს გაბმული სოფლის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან, დაარსდეს ადგილობრივად ბავ. კომ. ორგანიზაცია და მისთვის სასწრაფოდ გამოინახოს მატერიალური სახსარი, მოეწყოს პოლიტ-აღმზრდელობითი ხასიათის წარმოდგენები, გამოუწეროს სოფელს სხვადასხვა გაზეთები, ჟურნალები და სხვ.

დასასრულ კომკავშირში მიღებულ იქნა 4 ამხანაგი საერთო წესით.

შალ. ქარ.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს [illegible] ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავშირთა კულტკონფერენცია

მე-2 სხდომა

მოხსენებები ადგილებიდან

კონფერენციის მეორე სხდომაზე იწყება მოხსენებები ადგილებიდან. მომხსენებელნი უმთავრესად ეხებიან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას, საკლუბო მუშაობას, ლიტერატურის გავრცელებას, შეფობის საკითხს და სხვა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მომხსენებელთა გადმოცემით მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს. წერაკითხვის უცოდინარობა ალკვეთილია კავშირის წევრთა შორის 90 პროცენტით.

საკლუბო მუშაობაც—გაცხოველებულია. ყველგან შემოღებულია ინდივიდუალური წევრობა. სწარმოებს აგრეთვე სხვადასხვა წრეების მუშაობა. მოიკოჭლებს მუშაობა ლენინის წრეებში, რადგან ლენინიზმის მცოდნე ლექტორები იშვიათად გამოინახება.

ბიბლიოთეკა - სამკითხველოები ყველგან არსებობენ, მაგრამ არ მოეპოვებათ სათანადო ლიტერატურა, განსაკუთრებით ეკონომიურ საწარმოო საკითხებზე.

თეატრები არსებობენ ყველა მოზრდილ რაიონებში. იქ, სადაც თეატრები არ არის, წარმოადგენებს მართავს მოძრავი თეატრი. სწარმოებს მუშაობა დრამატიულ წრეებში. კინოს პროვინცია მოკლებულია. სურათები იშვიათად იდგმება, და თუ იდგმება მეტად დაბალი ღირსების. კინო თეატრები არსებობენ მხოლოდ სამაზრო ცენტრებში. მომხსენებელნი საჭიროდ სცნობენ მოეწყოს მოძრავი კინო თეატრები.

მომხსენებელნი უსაყვედურებენ ცენტრს, საჭირო ხელმძღვანელობის გაუწევობას კულტ-მუშაობის დარგში.

მოხსენებათა გარშემო დაიწყო გაცხოველებული კამათი, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ იყო აღნიშნული კულტ-მუშაობის მიღწევები და სუსტი მხარეები.

მე-3 სხდომა

პროფსაბჭოს კულტმუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ჭელიძე)

მომხსენებელი მიმოხილავს უკეთებს პროფსაბჭოს კულტმუშაობას 1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1925 წლის 1 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლა დაუმთავრებია 1.403 წევრს, მცირე მცოდნეობის—1207. მოხდა აგრეთვე საქართველოს მასშტაბით კავშირის წევრთა წ. კ. უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვა. საანგარიშო ხნის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებელში მსმენელთა მოსამზადებლად გაიხსნა 4 მუშფაკი, სადაც დიდ უმრავლესობას პროფკავშირთა წევრები შეადგენენ. თბილისის უმაღ. სასწავლებლებში პროფკავშირებს დათმობილი აქვთ 235 ადგილი, რუსეთში 30 ადგილი.

პროფტექნიკურ განათლების დარგში კულტგანყოფილებამ გააფართოვა საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელი და აგრეთვე გაგზავნა ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის საქარხნო და საფაბრიკო სკოლებში.

პროფპროპაგანდის და პროფმოძრაობის შესასწავლად შემუშავებულ იქნა პროგრამა. მოეწყო პროფწრეები და გამოიცა 15 წიგნი 26 ათასი ტირაჟით. ნაყოფიერი იყო მუშაობა აგრეთვე სამხატვრო-ესთეტიურ დარგში.

საოპერო და დრამის თეატრებში კავშირებს დათმობილი ჰქონდათ ადგილების განსაზღვრული პროცენტი. ამ სეზონში დარიგდა სულ 25 ათასი ბილეთი.

გარდა ამისა მუშათა უბნებში იმართებოდა აკადემიური დრამის წარმოდგენები.

კინო-სურათების გასავრცელებლად განყოფილებამ შექმნა „კინო კავშირი", რომელიც ამ მოკლე ხანში მოაწყობს მოძრავ კინო-აპარატს სოფლებში სურათების საჩვენებლად.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქალთა შორის მუშაობას, საკლუბო მუშაობას, დასასვენებელი სახლების და ექსკურსიების საკითხის მუშაობას პიონერთა დარგში და აღნიშნა ამ დარგში მიღწეული წარმატებანი

მომხსენებელმა კონფერენციის ყურადღება მიაქცია ფიზკულტურაზე, რომელსაც კულტგანყოფილება დიდი ყურადღებით ეკიდება და სამაზრო კომფიზიურობებიდანაც მოითხოვს უფრო მეტად დაინტერესებას ამ საკითხით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეოთხე სხდომა

წითელი კუთხეების შესახებ

(ამხ. მხიტაროვის მოხსენება)

პირველ ხანებში,—ამბობს მომხსენებელი,—წითელი კუთხეების გახსნამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი. წითელი კუთხეები ეწყობოდა ყველგან ყოველგვარი სისტემის და გეგმის გარეშე. ისინი ღარიბი იყვნენ ლიტერატურით, პლაკატებით და სხვა საჭირო მასალით. კულტგანყოფილებამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და შეუდგა წითელი კუთხეების ღირსების გაუმჯობესებას, საჭირო გახდა მათი რიცხვის შემცირება და ხარისხით მაღლა აწევა. შემდეგ მომხსენებელი კონფერენციას აცნობს, თუ როგორი უნდა იყვეს წითელი კუთხეები და სად უნდა ეწყობოდეს ისინი. წითელ კუთხეებს უნდა ეთმობოდეს მთელი ოთახი, სუფთა და ნათელი, სადაც მოხერხდება დღით მეცადინეობა. ამ ოთახში გამოფენილი უნდა იქნეს ადგილობრივი წარმოება ან დაწესებულებათა კედლის გაზეთი. წითელ კუთხეები არ უნდა გადაიქცეს ბიბლიოთეკად. აქ უნდა იქნეს მხოლოდ პატარა წიგნთსაცავი პოპულიარული წიგნებით. აგრეთვე წითელი კუთხეები აღჭურვილი უნდა იქნენ მუსიკალური იარაღებით, რომელნიც მიიზიდავენ დასასვენებლად მუშებს. წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ხმამაღლი კითხვა და საუბარი სხვა და სხვა თემებზე. პროფწრეების მოწყობა კუთხეებთან არ უნდა იქნეს სავალდებულო და სხვა.

ფიზკულტურა

(მომხსენებელი ამხ. გერასიმოვი)

ფიზკულტურა უკანასკნელად მეტად გავრცელდა საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში და სხვა ქალაქებში. ფიზკულტურის წრეებში ითვლება დღემდე 7000-ზე მეტი მხოლოდ პროფკავშირის წევრი. აქედან თბილისზე მოდის 2000 წევრი. შემდეგ მომხსენებელი ეხება ფიზკულტურის იმ დარგებს, რომელთაც მისდევენ პროფკავშირის წევრები. შემდეგ მომხსენებელი ეხება კონფერენციის მომავალი მუშაობის პროგრამას ფიზკულტურის დარგში.

მეხუთე სხდომა

საგამომცემლო მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. აფხაიძე)

პროფსაბჭოს საგამომცემლო მუშაობა ფართე ხასიათს იღებს 1922 წლიდან. 1922 წელს გამოცემულ იქნა 5 წიგნი 9 ათასი ტირაჟით, 1923 წელს 15 წიგნი 22700 ტირაჟით, 24 წელს—32 წიგნი—56900 ტირაჟით, 1925 წელს დღემდე გამოცემულია 27 ათასი ცალი წიგნი. სულ დღემდე გამოცემულია 116 ათასი წიგნი, ასე რომ თვითეულ წევრზე მოდის 1 წიგნი.

გამოცემულ წიგნთა შორის უმეტესს წარმოადგენს ნათარგმნი ლიტერატურა. ამიერიდან ყურადღება მიექცევა ორიგინალურ ლიტერატურას, რომელიც გამოიცემა არა სქელტანიან წიგნებად, არამედ პატარა ბროშიურებად.

პროფმოძრაობის გარდა ყურადღება მიექცევა აგრეთვე ლიტერატურის სხვა დარგის გამომცემლობას, რისთვისაც სექტემბრისთვის ეწყობა საპაიო-საგამომცემლო ამხანაგობა. შემდეგ მომხსენებელი ეხება პროფსაბჭოს პერიოდულ გამომცემლობას გაზეთ „მუშას" და ჟურნალ „შრომას".

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის სანიტ. ექიმთა მესამე ყრილობა

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ექიმ კრიმკოს მოხსენება: ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი და უახლოესი ამოცანები ამ დარგში. შემდეგ მოხსენება წაიკითხა გოლტვასსერმა შემდეგ თემაზე: ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა უკრაინის ტრანსპორტზე. მეორე მოხსენება გააკეთა იმავე ექ. კრიმკიმ ტრანსპორტის ბავშვების ფიზკულტურის განვითარების და ცხოვრების პირობების გამოსაკვლევად წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ. უკანასკნელად წაკითხულ იქნა მოხსენება: „დედობის და ბავშვობის დაცვის დაწესებულებების მოწყობის ცდა ტრანსპორტზე" ამ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდნენ ექ. ზეიმანი და გენცი. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექ. ექ. ივასოვმა, შილოვმა, კამინსკიმ, კუნინმა და საველიევმა.

მეხუთე სხდომა

6 მაისის დილის სხდომაზე მოხსენებით სანიტარულ ორგანიზაციების რკინისგზის მოსახლეობასთან დაახლოების შესახებ გამოვიდა ექ. ზაბლუდოვსკი, რომელმაც ყრილობას წარუდგინა თეზისები ამ დარგში მუშაობის დასაწყებად და გასაფართოებლად. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათის დასრულების შემდეგ მოხსენება ტერიტორიალურ და სატრანსპორტო-სანიტარულ ორგანიზაციათა შორის კავშირის განმტკიცების შესახებ წაიკითხა ექ. ეფიმოვმა, რომელმაც წამოაყენა სათანადო დებულებები ამ საკითხის შესახებ.

მიმართვა ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარისადმი:

შემდეგ ყრილობამ მიიღო ა. კ. სახალხო კომ. საბჭოს სახელზე დაწერილი მიმართვის ტექსტი.

ტრანსპორტის სანიტარულ ექიმთა საკავშირო ყრილობა, ნათქვამია მიმართვაში, რომელიც გაიხსნა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის სატახტო ქალაქში, მხურვალედ მიესალმება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

სანიტარულ ექიმთა მიმდინარე მესამე ყრილობა საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენს იმ სამეცნიერო საქმიანი მუშაობის, რომელიც მიმართულია ჩვენი რესპუბლიკების გაჯანსაღებისაკენ; აგრეთვე ეს ყრილობა მოწმობს მას, თუ რა მჭიდრო კავშირია მეცნიერებასა და მშრომელთა ფართე მასების ინტერესებს შორის.

თათბირი, რომელიც შეუდგა მუშაობას საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთა დედა-ქალაქში, აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ მეცნიერული აზროვნებისათვის უცხოა ეროვნული განკერძოება და კარჩაკეტილობა; რომ ამ გარემოებით მეცნიერული აზროვნება შეურყეველი და მტკიცეა, რაც ჰქმნის ერთიან კულტურულ ფრონტს, რომელსაც მიჰყავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი განმტკიცებისა და გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს და საბჭოთა რუსეთის ჯან. სახ. კომის. სახელზე გასაგზავნი დეპეშების ტექსტი.

ექ. ეფიმოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რკინის გზის სხვადასხვა ხაზებიდან ჩამოსულმა დელეგატებმა. კამათი მოხსენებათა დასრულების შემდეგ დაიხურა.

სექციების მუშაობა

6 მაისს დილით მუშაობას შეუდგა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სექცია და საწყლო სანიტარიის სექცია. ამავე დღეს შესდგა პროფმავნებლობის და პროფდაავადმყოფების სექციის სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს ექ. ომირონოვმა და კამინსკიმ პროფმავნებლობასა და მასთან ბრძოლის შესახებ. ამავე საკითხზე მოსმენილ იქნა ამხ. რაფისის მოხსენება.

7 მაისს დილით შესდგა სანიტარულ ეპიდემიოლოგიური სექციის სხდომა. მოხსენება გააკეთეს ექ. კანდელაკმა „მალიარია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე", ექ. მზერბაკოვმა „მალიარია შუა აზიის რკინისგზებზე", და პროფ. უგლოვმა „ოქტომბრის რკინის გზის საბინადრო პირობები".

ამავე დღეს დილით შესდგა ბავშვთა და მოზარდთა დაცვის სექციის სხდომა.

ეკონომიური ცხოვრება

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

აგარაკების გაუმჯობესება.

უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 47,261 მან. რაოდენობით ბორჯომში ყოფ. სერგიევის სახლის და სამკურნალო წყლების მოსაწყობათ და აბასთუმნის პირველ სანატორიუმის შესაკეთებლათ.

ქობულეთის აგარაკის მოსაწყობათ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დასკვნის გასაკეთებლათ გადაეცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატს, სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ცეკავშირს და წარმოკავშირს დაევალა 10 დღის განმავლობაში გამოარკვიონ სავარგისია თუ არა, ის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომლებიც დაგროვილია სენაკში მოქ. აბაშიძის საწყობში და შეიძინონ ისინი.

შაბიამნის განაწილება.

სასოფლო-სამეურნეო ბანკს და წარმოკავშირს მიენდო გაანაწილონ გლეხებში შაბიამანი მიწად-მოქ. სახალხო კომისარიატისა და განსაკუთრებულ კომისიის მიერ გამომუშავებულ ფასების მიხედვით.

სარენტო გადასახადი.

უმ. ეკ. საბჭომ გამოიმუშავა სარენტო გადასახადის განაკვეთი ქალაქების დასახლებულ და დაუსახლებელი ადგილებისათვის.

საქ. სასოფ.-სამეურნეო ბანკში

50.000 მან. მესაქონლეობისათვის.

საქ. სასოფ.-სამეურნეო ბანკმა, თბილისის მაზრის გლეხებს მუშა საქონლისათვის ორი წლის ვადით სესხად მისცა 50 ათასი მანეთი.

„ვერმორელის" მანქანები გლეხობისათვის.

საქ. სასოფ.-სამ. ბანკმა შეიძინა დამატებით 200 ცალი „ვერმორელი"-ს აპარატი (ვაზის შესაწამლი), რომლებიც იქნა გადაგზავნილი კახეთში გლეხებს შორის სასწრაფოდ გასანაწილებლად, სესხის სახით 9 თვის ვადით.

შაბიამანი და გოგირდი გლეხებს.

ბანკმა შეიძინა 29.000 ფუთი შაბიამანი და 15.000 ფუთი გოგირდი, ესეც გლეხებში სესხის სახით გასანაწილებლად ცხრა თვის ვადით.

სეტყვის საწინააღმდეგო ზუზუნების განაწილება.

ბანკმა გაანაწილა მევენახეთა შორის 13.000 ცალი სეტყვის საწინააღმდეგო (სესხად 9 თვის ვადით) ზუზუნები.

სას.-სამ. იარაღების შეძენა.

ბანკმა შეიძინა აუარებელი სას. სამ. იარალ-მანქანები, როგორიც არის: ტრაქტორები, გუთნები და სხვა.

საამშენებლო კანტორების გაუქმება

ამიერ-კავკასიაში საამშენებლო საქმის გამოკვლევის შედეგების შესახებ მოხსენების გაცნობის შემდეგ ა/კ. სახ. კომ. საბჭომ საჭიროდ სცნო გაუქმდეს შემდეგი საამშენებლო კანტორები: „სტანდარტი", „იუსტროის", „კავგიდროსტროი", „უკრგომელსტროი", „სტროიკონტორა", ქ. წ. დ. არმიასთან არტელი „ვპკ". ასეთი დადგენილების გამოტანის დროს ა/კ. სახ. კომ. საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ კანტორებს ჰქონდათ მეტად მცირე საბრუნავი თანხები, არ ჰქონდათ სრული დატვირთვა, გაურბოდენ წესდებით აღნიშნულ ამოცანების შესრულებას და ხელს ჰკიდებდენ ყოველგვარ საქმეებს, არ ასრულებდენ აღებულ სამუშაოებს თავის დროზე, ხშირად აღებულ სამუშაოებს აძლევდენ კერძო მოიჯარადრეებს. გარდა ამისა ალმოჩენილ იქნა სამეურნეო ნაწილის ცუდი წარმოება და მიღებული თანხების მიზანშეუფერებელი ფლანგვა.

საამშენებლო კანტორებიდან დატოვებულია მხოლოდ კანტორა „სტროი პუტი", რომლის მუშაობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ სარკინისგზო და საგზატკეცილო მშენებლობით.

რესპუბლიკების სახ. კომ. საბჭოებს დაეკისრათ გამოარკვიონ სააქციონერო საზოგადოებათა ტიპის რესპუბლიკანური საამშენებლო კანტორების მოწყობის შესაძლებლობის საკითხი.

საბინაო აღმშენებლობა

საბინაო აღმშენებლობის საქმეს მთელს საბჭოთა კავშირში ფრიად დიდი ყურადღება ექცევა. ამ საქმეს ხელმძღვანელობს საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია.

კერძოთ, თბილისშიაც, სადაც ბინების სივიწროვის მხრივ დიდ კრიზისს განიცდით, ბინების აშენების საქმეს ეწევა საქ. საბინაო კოოპერაცია, კერძოთ კი „ცენტროსტროი".

მისი საქმიანობა შემდეგში გამოიხატება: მთავრდება მუშათა ბინების აშენება, მუშათა რაიონებში: ვერაზე ამხ. ლენინის სახელობის ახალშენში—6 ბინის, დიდუბეში, ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის ახალშენში—15 ბინის და ნაძალადევში, ამხ. ტროცკის სახელობის—34 ბინის.

საერთოდ განზრახული იყო ასი ბინის აგება. საამშენებლო მასალას კოოპერაცია ღებულობს ს. მ. უ. საბჭოს სხვადასხვა ორგანოებიდან. მას დაკვეთილი აქვს 3 მილიონი აგურის და ხე-ტყის მასალის დამზადება-მიწოდების საქმე. რაც შეეხება კარ-ფანჯრების და ჭერების საკითხს, ასეთები მზადდებიან მექანიკურ [illegible] არსენალში.

ფინანსების მხრივ, კოოპერაცია ვერ არის უზრუნველყოფილი შესაფერად. ამ უკანასკნელად ფინსახკომმა აღძრა შუამდგომლობა საკავშირო რესპუბლიკის ფინსახკომის წინაშე, რათა საქ. საბინაო კოოპერაციას მეცეს 6000 მანეთი.

გარდა ამისა, 28 მაისს მოწვეულია საბინაო კოოპერაციის ყრილობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მიაქცევს ყურადღებას ფინანსიურ საკითხსაც.

ჩვენს გაზეთში თავის დროზე აღნიშნული იყო, რომ თბილისის საბირჟო კომიტეტმა მიიღო მონაწილეობა საბინაო აღმშენებლობაში და ნაძალადევში, რკინისგზელთათვის, საერთო ბინის აშენების მიზნით, განსაკუთრებული თანხაც კი გადასდო.

ამ შენობის პროექტი საბინაო კოოპერაციამ უკვე შეადგინა და მომავალ კვირას მოხდება შენობის საფუძვლის ჩაყრა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბინების იმ გეგმით შენება, რომელიც სწარმოებდა შარშან პირველ პიონერების მიერ, წელს უკვე უარყოფილია (ე. ი. განმარტოებული სახით ბინების შენება) და მიმდინარე საამშენებლო წელს იგი მდგომარეობს საერთო სახის ე. წ. „კომუნა-სახლების" აშენებაში.

ახალგაზრდა კოოპერატორი.

განათლების ფრონტზე

მინერალოგიური კოლექცია.

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ამა წლის 29 აპრილს შემდგარმა კომისიამ სახ. კომისართა საბჭოს წარმომადგენლის ელ. ალშიბაიას, განათ. კომისარიატის—პ. ნადარაიას, სახელმწიფო უნივერსიტეტის—პროფ. ალ. თვალჭრელიძის და ლექტორ ყიფშიძის შემადგენლობით, ჩაიბარა კომისართა საბჭოს მიერ შეძენილი მოქ. კუნდურიადისაგან მინერალოგიური კოლექცია, რაოდენობით: 1127 მინერალი და 107 მაუშტუფი, თანდართული კატალოგით, სულ ღირებული 6,000 მან. აღნიშნული კოლექცია უკვე ჩაბარდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიურ კაბინეტს.

სპეციალური ტექნიკუმები

განათლების კომისარიატმა სამაზრო განათლების განყოფილებების ქვემდებარეობიდან გამოჰყო სპეციალური ტექნიკუმები და დაუქვემდებარა ისინი უშუალოთ განათ. სახ. კომისარიატის პროფტექნიკურ მმართველობას.

1923—24 სასწავლო წელში კურს დამთავრებულთა აღრიცხვა.

განათლების კომისარიატი შეუდგა 1923—24 სასწავლო წელში ყველა ტიპის სკოლების კურს დამთავრებულთა აღრიცხვას ეროვნების, სქესის და წარჩინების მიხედვით.

განათლების კომისარიატის ანგარიში.

გამოვიდა და დაურიგდა სათანადო დაწესებულებებს განათლების კომისარიატის 4 წლის მუშაობის ანგარიში.

ქრონიკა

— **სახალხო მეურნეობის ბალანსი.** საქართველოს სტატ. ცენტრალ. სამმართველო შეუდგა საქართველოს სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენას. გამოყოფილნი არიან კომისიები მთავარ მეურნეობათა დარგების მიხედვით (სას. მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა). კომისიების მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას აგრეთვე სხვა უწყებათა სპეცები და მცოდნე პირები.

— **გლეხის მეურნეობის ბიუჯეტო გამოკვლევა.** საქ. სტატ. სამმართველომ დაამთავრა გამოსაკვლევ პუნქტების შერჩევა. დანიშნულ 28 გამოსაკვლევ პუნქტს დაუმატა კიდევ 10 პუნქტი სრულ სურათის მისაღებად გლეხის ბიუჯეტზე. ზედმეტი ხარჯები ამით გამოწვეული განზრახულია დაიფაროს ამ გამოკვლევით დაინტერესებულ სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციების დახმარებიდან (ცეკავშირი, წარმოკავშირი, მუშკოოპი და სხვა.

— **სამრეწველო გამოკვლევა.** 6 მაისს იწყება ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო დაწესებულებათა აღრიცხვა.

— **სტატისტიკოსთა თათბირები.** ს. ც. სტ. სამმართველომ გადასწყვიტა საუწყებო სტატისტიკოსთა რეგულიარულ თათბირების მოწვევა სტატისტიკურ მუშაობათა კოორდინაციის მიზნით.

— **სტატისტიკის სწავლების შემოღებაზე ტექნიკუმებში.** სტ. ც. სამმართველომ დაადგინა აღძრულ იქნას შუამდგომლობა სახელმწიფო სტატისტიკის, როგორც სავალდებულო საგნის, სწავლების შემოღებაზე საშუალო ტექნიკუმებში და ცხრაწლედებში.

— **სტატისტიკის ლექციები.** მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე სტატ. სამმართველოს განზრახული აქვს სახ. გან. კომისარიატთან შეთანხმებით მოაწყოს ლექციების კითხვა სტატისტიკაზე ყველა იმ ადგილებში, სადაც დანიშნული იქნება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

— **სოფ. ცხვარ-ჭამია** ადგილობრივ მცხოვრებთა შუამდგომლობის თანახმად თბ. აღმასკომმა დაადგინა მიწერილი იქნას გრწოს თემიდან ავჭალის თემზე.

კოოპერატიული კურსები.

ცეკავშირის და წარმოკავშირის მიერ ქ. ტფილისში წარსული წლის ნოემბრიდან მოწყობილ კოოპერატიულ კურსებზე ამჟამად მეცადინეობს 170 მსმენელი.

— **გადამრჩეველი კომისიები.** სანატორიუმ-აგარაკზე ექიმობის მსურველთა სიმრავლის გამო, დამზღვევ კასამ დაარსა 3 გადამრჩეველ-შემამოწმებელი კომისია.

— **დაზღვეულ უმუშევრებს** აპრილის განმავლობაში დამზღვევ კასამ დახმარების სახით მისცა 16,766 მან.

— **ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა** ყოველთვიურად შეკრიბოს ცნობები ამიერ-კავკასიაში უმუშევრობის მდგომარეობის შესახებ.

— **შრომის ინვალიდებს** აპრილში დამზღვევ კასამ დახმარება მისცა 8,454 მან. რაოდენობით.

— **წამლეულობის გაიაფება.** გაიბეჭდა და აფთიაქებს დაურიგდა ახალი ნიხრი წამლეულობაზე. ნიხრის მიხედვით წამლეულობა გაიაფებულია 15 პროცენტით.

— **პასტერის სახელობის სადგურში** ამჟამად აქიმობენ ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილ 75 ავადმყოფს.

— **დოსტაქართა** (ქირურგები) საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 24 მაისს მოსკოვში, საქართველოდან წარმომადგენლის სახით მიემგზავრება ამხ. ახმეტელი.

— **სოფლის მეურნეობა.** ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა დაწვრილებით გამოიკვლიოს ამიერ-კავკასიაში სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების დამზადების (კერძოთ თამბაქოსი საქართველოში) საქმე.

— **მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა** დაადგინა მისცეს სესხი იმ ადგილობრივ საბჭოებს და სამეურნეო ორგანოებს საბინაო აღმშენებლობისათვის, სადაც არსებობენ დამხმარე კომიტეტები.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი** თავის საშეფო სოფელ არაგვისპირში (დუშეთი) გზავნის სპეცინსტრუქტორს მიწის საკითხების მოსაგვარებლათ.

— **სატყეო საქმეების გამოსაკვლევად** თელავის მაზრაში მიემგზავრება მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სატყეო განყოფილების კომისია.

— **ქიმიის მრეწველთა საზ-ბის ყრილობა.** 11 მაისს, საღამოს, 7 საათზე, პროფკავშირთა დარბაზში შესდგება ქიმიის მრეწველთა საზოგადოების საერთო-საქალაქო ყრილობა რომელზედაც გადაწყდება საკითხი, საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის, არსებობის შესახებ.

ხელოვნება

პროფ. ზელიონაიას ვოკალური კლასის კონცერტი.

კონცერტის მოსმენის შემდეგ ჩვენ ორ დასკვნამდი მივედით. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო არ ჩამორჩება იტალიას ვოკალური ძალების არც რაოდენობისა და არც ღირსების მხრივ და სამწუხაროა, რომ მათ აქამდი საშუალება არ ჰქონდათ გამოეჩინათ თავი და სწორი მუსიკალური განათლება მიეღოთ.

მეორე დასკვნა ისეთია, რომ ვოკალური განათლება მეტათ სერიოზულათ არის დაყენებული სახელმწიფო კონსერვატორიაში.

კონცერტის მთელი პროგრამა შესრულებული იყო პროფესორ ზელიონაიას კლასის მოწაფეების მიერ. არის განსაკუთრებული სილამაზის ხმები. ესენი არიან მოწაფე ქალი გრიგორიანი და ბალდასაროვა. ორივე მომღერლებმა გამოაშკარავეს კარგი სკოლა, მუსიკალობა და საკმაო ტეხნიკა. ბეჯითი მუშაობის შემდეგ ორივე მათ მოელის დიდი სცენიური კარიერა.

მეტათ ლამაზი ხმა აქვს მოწაფე ქალს—ბედჟანოვას, მისი შესრულება დამთავრებულია.

დიდი ვოკალური ნიჭი და კარგი ტეხნიკა აქვს მოწაფე ქალს—აიზენბერგს, მაგრამ მომღერალმა უნდა მიაღწიოს უფრო სწორ ინტონაციას მაღალ რეგისტრში.

კარგი ხმა აქვთ მომღერალ ქალს ყანის და გედალინას. პირველმა აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციოს ინტონაციას მაღალ რეგისტრში, რომელიც ყოველთვის სწორი არ არის, მეორემ კი თავი უნდა დაალწიოს ერთგვარ მოუხეშაობას სიმღერაში.

ლამაზი ხმა აქვს და კარგათ მღერის მოწაფე რეგენკამფი; მას ეხერხება ფრაზიროვკა და ხმის გამოყენება.

მუსიკალურია მანდეთოვა (მაღალი მეცო-სოპრანო). გაბაშვილი თავისუფლათ ხმარობს ხმას. მან კარგათ შეასრულა მეწისქვილის ძნელი არია ოპერა „რუსალკა"-დან, მაგრამ სუსტათ იყო გადმოცემული გრეჩანინოვის რომანსი „სიკვდილი". აქ საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა.

მუსიკალურია ჩხეიძე. საჭიროა უფრო სწორი ინტონაცია. კონცერტმა მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. კონცერტს დაესწრენ თბილისის მუსიკალური მოღვაწეები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ვოკალური განათლების დაყენება პროფ. ზელიონაიას კლასში. სჩანს დიდი და სერიოზული მუშაობა.

ვ. ბ.

— **რუსთაველის თეატრში.** სომეხ მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე აიზმანის პიესა „მრისხანე ღმერთი".

— **წითელი თეატრი.** კვირას, მაისის 10 ქართ. დრამის სეზონის დახურვა, წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო". დადგმა დ. კობახიძისა.

დღეს კინოებში

— აპოლო—„პაპიროსების გამყიდველი ქალი მოსელპრომიდან".

— არფასტო—„მესსალინა".

— სოლეი—„მესსალინა".

— მინიონ—„რაფკეს ასული".

— ობზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი".

— აის—ახალი პროგრამა.

შემთხვევები

— **მკვლელობა.** 7 მაისს დილის 9 ს. გუთნის ქ. № 8 მოქ. მოქ. ბავშვებმა სინაურდამ, ლუბა ოგანეზოვმა, ამალაი გამბერიანცმა, ნაზარა და გიორგი სინაურდებმა ფეხსაცმელების საკერავი დანით მოჰკლეს თებრონე სინაურდასი. გარდა ნაზარა სინაურდასი ყველანი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 7 მაისს შეიპყრეს ვლადიმერ კანადაშვილი, რომელსაც ბრალდება ჩუღ. ქ. № 33 სალებავი ზეთის მოპარვა.

— **გაძარცვა.** 1 მაისს ჯვარის პატიოსანთან ყაჩაღებმა გაძარცვეს თბილისიდან მიმავალი მეფურგუნეები ზუცოევი და ყაზაროვი.

— **დაჭრა.** 5 მაისს კარაკლისის მახლობლად საძოვარზე მეწყემსებს მოუვიდათ ჩხუბი, რის დროსაც მახმუდ აჯი-ამირ-ოღლიმ მძიმეთ დასჭრა ხანჯლით ოსმან ოღლი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **მკვლელობა.** მე-12 არხის მახლობლად ცეკავშირის სათიბ ადგილების დარაჯმა ალექსანდრე ოგანოვმა სათიბში საძოვრათ საქონლის შეშვების გამო მოჰკლა სოფ. ნაზარალის მცხოვრები ბაჟი კოჩა-ოღლი.

— **ქურდობა.** 7 მაისს ალექსანდრეს ქ. № 3 დიმიტრი გედევანოვის ბინიდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

— ამავე დღეს მუშტაიდის ქ. № 5 კესარია ჯაფარიძის ბინიდან მოიპარეს 70 მ. ნივთები.

— **ბოქლომის გატეხვის** საშუალებით 7 მაისს ტატიანის ქუჩაზე გაქურდეს 19 №-რიანი სახლი. წაღებული ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

მუშათა ცხოვრება

ეს ჩვენთვის აუტანელია

(წყალსადენის განყოფილების საყურადღებოდ)

დიდუბეში, ბათუმის და ანდრიას ქუჩაზედ № 113/8 მდებარე სახლში 99 პროც. მცხოვრებლებს შეადგენენ საბჭოთა მოსამსახურეები, რკ. გზელები, დანარჩენნი კი თვითმშრომელთა კავშირის წევრები არიან. მიუხედავად ამისა, აღმასკომის წყალსადენის განყოფილება დიდ თანხებს გვაწერს გადასახადათ, რაც ჩვენთვის შეუძლებელია. ამას წინედ გადვიხადეთ წყლის ფული 18 თუმანი, რაც დიდის გაჭირვებით მოვაგროვეთ მდგმურებში. იმ ფულთან ერთად წყალსადენის განყოფილებაში გადავგზავნეთ ამ სახლის მცხოვრებთა სია საწევრო წიგნაკების ნომრების აღნიშვნით შეღავათის მისაღებად, თანახმად არსებული წესებისა, მაგრამ წყალსადენი მაინც არ გვაკლებს მის „მოწყალებას" და რაც შეუძლია უმატებს წყლის გადასახადს. 14 აპრილს მოგვივიდა წყლის გადასახადის ქვითარი № 26, რომელშიაც აღნიშნულია 1148 მანეთის ჯამი გადასახადად. ვკითხულობთ! საიდან შეგვიძლია ამოდენა ფულის გადახდა დაბალ მუშა-მოსამსახურეებს.

სხვათა შორის ამ სახლში იმყოფება „ზაკტეპო"-ს სავაჭრო დუქანი, სადაც აუარებელი წყალი იხარჯება. როგორც სჩანს კოოპერატივის დანახარჯ წყლის ფულს ჩვენ, მდგმურებს, გვახდევინებენ. ამ სახლში 200 სული ვცხოვრობთ. წყალი უკვე დაგვიკეტეს.

ჩვენ მოვითხოვთ წყალსადენის განყოფილებისაგან ამ საქმეზე კომისიის დანიშვნას, და მასთან ერთად წყალსაზომს, რომ ჩვენ ვიცოდეთ ჩვენი წყლის ხარჯის და გადასახადის სწორი ანგარიში.

მუშკორ **ზიხელ.**

მოაგვარეთ ეს საკითხი

(სად. თბილისის უფროსის საყურადღებოდ).

მატარებელი № 4 თბილისიდან მგზავრებით მეტად დატვირთული გადის, რაც ხელს უშლის რევიზიის გაკეთებას, იმავე დროს საათ-ნახევრის შემდეგ **მატარებელი № 10** თითქმის ნახევრად ცარიელი გადის. რომ ამისთანა არანორმალურ მოვლენას ადგილი არა ჰქონდეს, საჭიროა პირველ მატარებელზე ბილეთების განსაზღვრული რაოდენობა გაიყიდოს.

მუშკორი **ელდოლი.**

მუშკორის [illegible]

([illegible])

გაზ. „კომუნისტი"-ს № 42-ში მუშკორ „ანტა-უტა"-ს წერილის ყურადღების მიპყრობით საქ. სამხ. სკოლიდან გაძევებულ იქნენ მოქ. შალვა და ანდრო იოსელიანები, როგორც ამ სკოლისათვის სოციალურად შეუფერებელნი.

ეს ყმაწვილები, განრისხებულნი დაბრუნდენ სოფელში და თავიანთი ძმაბიჭებით გაფაციცებით დაუწყეს ძებნა მათ მამხილებელ მუშკორს (!) ეჭვობდენ: „ის ვიღაც მუშკორია, აქ უნდა იყოს, თორემ ისე დაწვრილებით რა იცოდა ჩვენი ამბავი"-ო და დაძრწოდენ, რისხვას აყრიდენ სოფლის გლეხ-ახ-კორებს. მიწასთან გასწორებით ემუქრებოდენ თუ კი ჰპოვებდენ, ვისაც ეძებდენ.

დღეს, თითქოს ჰპოვეს ამ „დონ-ჟუენებმა" მათი ნიღაბის ჩამომხსნელი და ამბობენ: „ეხლა ყველაფერი ვიცით. ეს მუშკორი არის ა/კ. კ-უნის სტ. ცხაკაია", რომელსაც კარგ „საჩუქარს" ჰპირდებიან.

დროა მოეღოს ბოლო მუშკორ-გლეხკორების დევნას. საჭიროა ალაგმულ იქნეს ეს ვაჟბატონები, რათა ისწავლონ უკანასკნელათ მაინც ჭკუა და შეიგნონ, რომ გაქრა მათი თორეშის ხანა.

ინფ. კაკო.

საჭიროა სასწრაფო დახმარება

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ.)

მე-7-ე უბანში ნორიოს ქუჩაზე სახ. № 7-ში სცხოვრობს ქალი **მარიამ მალხაზოვი**, რომელსაც ჰყავს ერთი შვილი დაახლოვებით 12-13 წლისა. ზემოხსენებული მარიამი არის—ქვრივი, საწყალი უპატრონო და განიცდის ოჯახური მდგომარეობით დიდ გაჭირვებას. ამ დიდი გაჭირვების და ფიქრების გამო ის შეიშალა ჭკუიდან და შიშის ზარს სცემს ახლომახლო მეზობლებს თავისი ზნით. ეს ქალი ღამე, თავშიშველი და ფეხშიშველი ადგება ხოლმე ღამის ორ-სამ საათზე, გამოვა ქუჩაში და მისგან ჩადენილ სხვა და სხვა საქციელს არა აქვს საზღვარი.

იმედია, ასეთ უპატრონო ავადმყოფს მიაქცევს შესაფერ ყურადღებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და მოათავსებს მას საავადმყოფოში.

კომკავშირელი **ხიდისკარელი.**

პროვინციაში

სამაგალითო კომუნა

სოფ. ალავერდში (შორაპნის მაზრა) გლეხებმა შეადგინეს კომუნა „წინსვლა". კომუნაში გაერთიანებულია 20 მოსახლე მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით. ეს ორი კვირაა კომუნაში უკვე სწარმოებს კოლექტიური მუშაობა და ცხოვრება. შორაპნის გლეხებმა ამნაირად მაგალითი მისცეს სხვებს, თუ როგორ მოაწყონ და გააუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება.

კომუნას მოწყობილი აქვს საკუთარი აბანო, სამზარეულო, სამრეცხაო და სხ. კომუნამ აირჩია თავისი საბჭო და მამასახლისი.

კომუნის საბჭოს თავმჯდომარე ამჟამად თბილისშია და შუამდგომლობს მთავრობის წინაშე კომუნისათვის სესხის მიცემის შესახებ. ამ სესხით ფიქრობენ ააგონ საერთო საცხოვრებელი სახლი, შეიძინონ გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ტანისამოსი კომუნის წევრებისათვის.

მთავრობა კომუნას უკვე შეჰპირდა დახმარებას.

მადლობას უცხადებთ დახმარებისათვის

დ. ჩხარი

გასული წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩხარს ესტუმრა ა/კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელმაც ჩხარის ქოხ-სამკითხველოს აღუთქვა დახმარება წიგნებით. ამ ერთი [illegible] წინდ მივიღეთ 210 მანეთად ღირებული სხვადასხვა წიგნები, გამოსადეგი ქოხ-სამკითხველოსათვის და კიდევ გვეგზავნება 90 მანეთად ღირებული წიგნები. ამისათვის ჩვენ დიდ მადლობას უძღვნით ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს და კერძოდ მის თავმჯდომარეს ამხ. მამია ორახელაშვილს.

მონდობილობით **გ. ხიმშიაშვილი.**

ვანის თემი

ქუთაისის მაზრა

ვანის თემი მდებარეობს ქალ. ქუთაისიდან დაახლოებით 25 ვერსის მანძილზე. ვანის თემი კარგა მოზრდილი თემია, მასში შედის 12 სოფელი. აღნიშნულ თემში არის 11 ოთხწლედი და ერთი ცხრაწლედი სასწავლებელი. არის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, რაიონული მილიცია, საბჭოთა აფთიაქი, დამზღვევი სალარო, ეპო, რომელსაც განყოფილება აქვს დვალიშვილების თემში, წარმოკავშირის პუნქტი, საკრედიტო ამხანაგობა, საექიმო პუნქტი, სამკითხველო, კოოპერატიული სასადილო და აბრეშუმის სადგური. ამ სადგურში მუშაობენ გლეხები დაახლოებით ასამდის; უმრავლესობას შეადგენენ ქალები.

ამ თემს ჩამოუდის მდინარე სულორი, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს ვანის თემის მცხოვრებლებისათვის: უბრუნებს 12 წისქვილს რამოდენიმე ქვით, ხე-ტყის სახერხს და ბამბის საპენტ მანქანას, აგრეთვე რწყავს ჭალის სახნავ მიწებს.

თემის მცხოვრებნი აგრეთვე მისდევენ მევენახეობას და მეაბრეშუმეობას. ამ თემში იმართება პარასკევს ბაზრობა, მოდიან ვაჭრები სხვადასხვა ქალაქებიდან, დაბებიდან და გააქვთ სოფლის ნაწარმოებნი; ერთი სიტყვით ვანის თემი მდიდარი თემი არის ყველაფრით, მაგრამ ხალხი შეწუხებულია იმით, რომ მდ. რიონზე ხიდის უქონლობის გამო არ აქვთ კავშირი ქალაქებთან და დაბებთან. ხანდახან გადის ერთი თვე, რომ გაზეთს ვერ წაიკითხავენ მცხოვრებნი, თავის ნაწარმოებს ვერ გაიტანენ აქედან და ვერც შემოიტანენ ყველა ამის მიზეზი არის მდ. რიონზე ხიდის უქონლობა.

საჭირო არის დახმარება მთავრობისაგან მარტო რკინით და ტეხნიკით, დანარჩენს ყველაფერს გლეხები გააკეთებენ.

გლეხკორი **ციხისძირელი.**

პროვინციის ქრონიკა

— **თვითმშრომელთა არტელი.** გორში დაარსდა თვითმშრომელთა არტელი, რომელმაც გახსნა წაღების სამკერვალო.

— **ქობულეთის აგროდახმარების პუნქტი** ამ დღეებში მიიღებს დიდძალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს გლეხებს შორის გასანაწილებლათ.

— **საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობას**, რომელიც დაარსდა ამ 3 თვის წინეთ ქობულეთში, ჰყავს 300 წევრი, რომლებსაც დღემდე სესხად მიეცათ 10,000 მან.

— **ხიდი მდ. რიონზე.** ქ. ფოთში მდ. რიონზე ჩრდილოეთ ტოტზე სწარმოებს დაჩქარებითი მუშაობა რკინა-ბეტონის ხიდის დასამთავრებლათ.

— **სოფ. ხევაშენის** (ახალც. მ.) გლეხებმა დაადგინეს სოფ. ვარხანსა და ხევაშენს შორის ააგონ ერთი ახალი ხიდი.

— **თეატრი სოფლად.** სოფ. მარნის გლეხკომმა გადასწყვიტა ააგოს ადგილობრივ (სენაკის მაზრაში) თეატრის შენობა.

— **ფოთის აღმასკომის** თაოსნობით ამ ჟამად დაკვრითი წესით სწარმოებს კაპარჭინას დამბის აშენება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 21.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესახებ იმ მსჯავრდადებულთათვის, რომელნიც სასჯელს გამასწორებელ სახლში იხდიან, ხოლო მათ შორის იმათთვის, ვინც მუშაობას ეწევა, 24—საათიანი შვებულების მიცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საპატიმრო ადგილთა დებულების 206 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„საპატიმრო ადგილთა განყოფილებას შეუძლიან, განსაკუთრებულ შემთხვევაში (როგორც მაგ. ოჯახის წევრის სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვ.), მისცეს იმ პატიმარს, ვინც სასჯელს იხდის (გარდა პოლიტიკური საქმისათვის და სასტიკი იზოლაციით დაპატიმრებულისა) მოკლევადიანი შვებულება არა უმეტეს სამი დღისა წასვლა-მოსვლისათვის საგზაო დროის ზედდართვით, იმ პირობით კი, რომ ეს შემდეგ ეცნობოს განმანაწილებელ კომისიას, ხოლო იმ პატიმარს, ვინც სამუშაოს ეწევა, მისცეს შაბათობით, უქმე და არა სამუშაო დღეში 24 საათის შვებულება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. მაისის 1.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილ. კომიტეტი პარასკევს, 15 მაისს აცხადებს

ერთიან პარტიულ დღეს.

უჯრედების კრებებზე დღის წესრიგში უნდა დაისვას საკითხი **მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.**

მასალები დაბეჭდილი იყო გაზეთებში.

მომხსენებლებისთვის გაკეთებულ იქნება საგანგებო საინსტრუქტორო მოხსენება.

თ. კ. მდივანი—ასრიბეკოვი.

— ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 9 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება საგიტაციო წრეების მეცადინეობა (რუსულისა და ქართულისა).

დასწრება სავალდებულოა ქალთა ყველა ორგანიზატორებისათვის.

პროფესიული

— დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირის მცირე დარბაზში შესდგება თათბირი:

1) პროფკავშირთა ცენტრ. გამგეობის ფრაქციათა მდივნებისა.
2) მეურნეობის დარგში მომუშავე კომუნისტებისა.
3 საწარმოვო უჯრედების მდივნებისა.
4) საფაბ. კომიტეტების მდივნებისა (კომუნისტების).
5) საწარმოვო სათათბიროების მდივნებისა (კომუნისტების.).

დღის წესრიგში წამოყენებულია საკითხი: საწარმოვო სათათბიროების შესახებ.

დასწრება სავალდებულოა ყველა ზემოჩამოთვლილ ამხანაგებისთვის.

თბილ. კომიტეტი.

განცხადებები

უზენაესი სასამართლო, ოლქის სასამართლო და სახალხო სასამართლოები იუწყებიან, რომ 6 მაისს, საღამოს 5 საათზე უეცრივ გარდაიცვალა ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე

ამხ. გიორგი მენაბდე

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე

1—1 1270

იუსტიციის სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 6 მაისს საღამოს 5 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა კომისარიატის უწყების მუშაკი ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე

ამხ. გიორგი მენაბდე

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე.

1—1 1178

ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კომუჯრედი ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს და ნაცნობებს კომუჯრედის წევრის

ამხ. გიორგი ბეჟანის-ძე მენაბდის

გულის სიგანიერისაგან უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

1—1 1274

ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი მწუხარებით აუწყებს თავის ცენტრალურ და ტფილისის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, რომ მაისის 6-ს, ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა უდროოდ პარტიის ძველი წევრი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი

ამხ. გიორგი ბეჟანის-ძე მენაბდე

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

1—1 1274

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი კომიტეტი და თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ 6 მაისს საღამოს 5 საათზე გულის დამბლით უეცრივ გარდაიცვალა ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე

ამხ. გიორგი მენაბდე

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე.

1—1 1270

ვლადიმერ ლევანისძე მენაბდე მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და პარტიულ ამხანაგებს, რომ 6 მაისს ქ. თბილისში უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი აღმზრდელი ბიძა

გიორგი ბეჟანისძე მენაბდე

დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 10 მაისს დილის 11 საათზე.

1—1. 1277.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები სვიმონ (სერგო) გრიგოლისძე და თებრონე დიმიტრის ასული, ძმები ვალერიან, გიორგი, ბიძინა და მარგალიტა ქელბაქიანები, მამია და ლუბა გეგელიები, დარიკო ჯაჯანიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 6 მაისს, საღამოს 4 ს. 5 წ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 5 კურსის სტუდენტი

გრიგოლ (გრიშა) ქელბაქიანი

პანაშვიდი ყოველ დღე სად. 6 საათზე, ვერაზე, წილკანის ქუჩა სახლი № 5. ბინიდან გამოსვენება კვირას, 10 მაისს, დილის თერთმეტ საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 1133

ღრმად დამწუხრებულნი მამა იაკინთე და დედა დესპინე შევარდნაძეები, ბიძანები იოსებ შევარდნაძე და კალისტრატე ჯინჭარაძე მეუღლეებით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხვალ, კვირას, 10 მაისს, დღის პირველ საათზე, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი ერთადერთი ქალიშვილის

ელენას

სულის მოსახსენებლად—გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1. 1271.

დამწუხრებული მარიამ გიორგის ასული, გულბათ ივანესძე და ბიძინა ბაგრატისძე დავითიშვილები, ნინო ივანეს ასული, დავით ესტატესძე და ელენე (მანონ) დავითის ასული მირიანაშვილები ნინო სვიმონის ასული, პავლე ივანესძე და მაგდალინა პავლეს ასული მოლჩანოვები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დაუვიწყა

ივანე ქაიხოსროსძე დავითიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 10 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე.

1264 1—1.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები—თუთია, თინა, შათუა და ნინა, დედა—როდამი, მამა—სპირიდონი, რძალი—გოგუცა და ძმა— ისიდორე თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს.

იპოლიტე სპირიდონისძე ნადირაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 10 მაისს, დღის 3 საათზე სოფ. ზოდში.

ნის. 1126—2—2

ამიერ-კავკასიის რკინიგზის საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 მაისს, საღამოს 4 საათ. და 5 წუთზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ქარხნის გამგის ვაჟი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი

გრიგოლი (გრიშა) სვიმონისძე ქელბაქიანი

გამოსვენება 10 მაისს, დილის თერთმეტ საათზე, საკუთარ ბინიდან ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1. 1276.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

სავალდებულო დადგენილება № 57

იალაღებზე (საზაფხულო საბალახოებზე) გადასარეკ და იქიდან გადმორეკილ პირუტყვების შესახებ.

7 მაისი 1925 წ. ქ. თბილისი.

იმ მიზნით, რომ იალაღზე გადასარეკ საქონელს და იალაღიდან გადმორეკილ საქონელსაც არ გადაედვას გადამდები ავადმყოფობა, რომელიც არსებობს სხვადასხვა მაზრებში, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) ყველა ჯოგის პატრონი და გადამრეკავები იალაღებზე, რომელ მაზრიდანაც ისინი არ უნდა იყვნენ, თუ თბილისის მაზრაში ჯოგს გაატარებენ გზათ, ვალდებულნი არიან იქონიონ: ა) მოწმობა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, თუ რამდენ თავ ჯოგს მიერეკებიან და ბ) მოწმობა ადგილობრივ ვეტპერსონალისაგან შესახებ იმისა, რომ იმ რაიონში, საიდანაც ჯოგი მოირეკება, არ არის პირუტყვების ეპიზოოტიური ავადმყოფობა.

შენიშვნა: ამ მუხლის მოთხოვნილება უნდა შეასრულონ აგრეთვე თბილისის და მისი მაზრის ჯოგის მეპატრონეებმაც.

2) ჯოგის პატრონები და გამომრეკავები ვალდებულნი არიან ზემო მუხლში აღნიშნული მოწმობები წარუდგინონ გზაში თბილისის მილიციის და ვეტპერსონალის წარმომადგენლებს პირველივე მოთხოვნილებისთანავე.

3) ჯოგის გამრეკავები ვალდებულნი არიან თბილისის მაზრაში გზათ გავლის დროს, ჯოგი ატარონ მხოლოდ და მხოლოდ შარა გზით.

შენიშვნა: აკრძალულია ჯოგის გარეკა სასოფლო გზებით, ყანებით, მინდვრებით და საზოგადო ნათეს ადგილებით.

4) ჯოგის პატრონები და გამრეკავები ვალდებულნი არიან თბილისის მაზრის სხვადასხვა რაიონებში ჯოგის გავლის დროს პირველ მუხლში აღნიშნული მოწმობები და თვით ჯოგი წარმოუდგინონ თბილისის მაზრის ვეტპერსონალს შესამოწმებლად შემდეგ პუნქტებში: ა) გარე-კახეთის რაიონში—სოფ. სართიჭალაში, ბ) მცხეთის რაიონში—სოფ. მცხეთაში, გ) ერწოს რაიონში—სოფ. სიმონიანთ-ხევში, დ) ასურეთ-ალბულაღის რაიონში—ს. ს. ასურეთში და ალბულაღში, ე) ყარაიაზის რაიონში—სოფ. ყარა-თაფაში, ვ) მანგლისის რაიონში—სოფ. მანგლისში.

შენიშვნა: 1) ამა მოწმობებზე, რომელიც გაცემულია ჯოგის გამორეკის ადგილას ვეტპერსონალის მიერ, ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ პუნქტზე თბილისის მაზრაში უნდა იქნეს წარწერილი, თუ კიდევ რომელ პუნქტს უნდა წარუდგინოს ჯოგი. გარდა ამისა ამ მოწმობაში უნდა იქნეს აღნიშნული, რომ ჯოგი შემოწმებულია ვეტპერსონალის მიერ და შედეგი შემოწმებისა.

შენიშვნა: 2) თუ ჯოგის შემოწმების დროს აღმოჩნდა რაიმე ავადმყოფობა, ვეტპერსონალი ვალდებულია მიიღოს საჭირო სავეტერინარო ზომები.

5) ჯოგის პატრონები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ რომელიმე ზემო მუხლში აღნიშნულ მახლობელ სავეტერინარო პუნქტის ვეტ-პერსონალს, თუ მათ პირუტყვებს თბილისის მაზრის ფარგლებში გაუჩნდება რაიმე ავადმყოფობა, თუნდაც ეს ავადმყოფობა უმნიშვნელო იყვეს.

შენიშვნა: ასეთ შემთხვევაში გადასაზიდ საშუალებას აწვდის ვეტპერსონალს ჯოგის პატრონი ან გამრეკი თავის ხარჯზედ.

6) ვეტპერსონალის მოსვლამდე, ჯოგის პატრონები და გამრეკავები ვალდებული არიან განცალკევებით იყოლიონ საეჭვო ავადმყოფი პირუტყვი და არ შეურიონ ის სხვა ჯანსაღ პირუტყვებში.

შენიშვნა: თუ ექიმის მოსვლამდის პირუტყვი მოკვდა, ლეში პირუტყვისა უნდა იყვეს შენახული ექიმის საჩვენებლად.

7) აღნიშნული სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში ურყევლად გატარება ევალება თბილისის მაზრის მილიციას, ადგილობრივ სოფლის ხელისუფლებას და ვეტერინალურ პერსონალს.

8) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დატუსაღებით, ან იძულებითი მუშაობით 2-თვემდე, ან დაჯარიმებით 100-მანეთამდე.

9) დღიდან ამ სავალდებულო დადგენილებისა გაუქმებულია ყველა სავალდებულო დადგენილებები ამ საკითხის შესახებ.

10) დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის აღმ. თავმჯდ. მაგიერ ქაცარავა.
საადგ.-მამ. განყ. გამგე ადიკაშვილი.
მდივანი ცქიტიშვილი.

1—1 ნ. 1140

---

10 მაისს **მცირე თეატრი** 10 მაისს

ტერენტი გრანელის

პოეზიის საღამო

1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.

ნ. 1124 4—3

თანახმად რემედას-ის საქ. ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა

რემედას-ის ფასიანი ფურცლების შემდეგი გაყიდვა

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, როგორც საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ, ისე კერძო დაწესებულებებში საბოლოოდ **შეწყვეტილია.** წინადადება ეძლევა ყველა აგენტებს დაუყოვნებლივ ჩააბარონ ანგარიში საფინანსო განყოფილებას.

რემედას-ის ცეკას პ. | მგ. მდივანი ზ. მუშიშვილი.

ნ. 1138 1—1

---

10 მაისს დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ეზოში ჟორესის (ყოფილ პარკის) და კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩების კუთხე—დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

4 ცხენის და ერთი ვირის გასასყიდათ

იქვე ცალიერი ყუთები იყიდება დიდძალი რაოდენობით 20 კაპეიკიდან ცალი. ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდე. მიმართეთ მომარაგების განყოფილების გამგეს.

მისამართი: კირკის და კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩის კუთხე, მუშათა მთლიან კოოპერატივის მთავარი საწყობი, შესავალი ეზოდან.

ნ. 1141 2—1

საქტრანსპორტი

(„ГРУЗТРАНСПОРТ")

ქ. თბილისი, შტაბის ქ. № 6, ტელეფონი № 6—75.

ამით აცხადებს, რომ

მანგლისში, კოჯორში, დუშეთში, კაჯკავში

და სხვა მიმართულებით დაიწყო სამგზავრო ავტომობილების მიმოსვლა

მგზავრობა სწარმოებს როგორც მსუბუქ მანქანებით, ისე ავტობუსებით

ბილეთები იყიდება დილის 8 ს. საღამოს 8 საათამდე

შტაბის ქ. № 6 და თავისუფლების მოედანზე—სასტუმრო „კავკაზ"-ის ქვეშ.

ნ. 1127 1—1.

სახალხო განათლების კომისარიატის ტეხნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ამა თვის 14, 12 საათზე კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. № 31) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კოჯრის აგარაკების შეკეთებისა.

დაწვრილებითი პირობები და კონდიციები შეიძლება მიიღოთ ყოველ დღე 12—2 ნახ. საათ. განათლების კომისარიატის ტეხნიკურ განყოფილებაში.

ტეხნიკური განყოფილების გამგე ინჟინერი დ. ჯორჯაძე.

ნის. 1137. 2—1

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ 15 მაისს, 1925 წ. დღის 12 საათზე საგურამოს ქუჩა № 19 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გასაყიდათ უძრავი ქონებისა, მდებარე ქ. თბილისში, საგურამოს ქ. № 19—ორ სართულიანი აგურის სახლისა, 18 საცხოვრებელი ოთახებით, ფლიგელით, სამზარეულოებით, ვანებით, კანალიზაციით და წყალსადენით, დასაკმაყოფილებლად ვალისა სტეფანე გრიგოლის ძე ბაღდასაროვისა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოსა 3263 მან. და 93 კაპ. პროც. 3060 მან. 50 კაპ. გასაყიდი შეფასებულია 4500 მანეთ., რომლიდან დაიწყება ვაჭრობა. მყიდველი ვალდებულია წარმოუდგინოს აღმასრულებელს სანოტარო და კომუნალურ განყოფილებიდან ცნობა, რომ არც მას, არც იმის მეუღლეს და არც მის არა სრულწლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, აგრეთვე მისცეს ხელწერილი, რომ არც მას და არც მის ოჯახის წევრს არა აქვს შენობა რომელსამე სხვა ადგილას. მიწა, რომელზედაც გაშენებულია გასაყიდი სახლი, სივრცით შეიცავს 139 ოთხკუთხიან საჟენს

1278 1—1

სასამართლოს აღმასრულებელი, კ. ოდიშარია.

სახელმწიფო აკადემიური ოპერის თეატრი

განაწილების შემდეგ დარჩენილი ბილეთები

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის წარმოდგენებზე

9, 10, 11, 12 და 13 მაისისათვის გაიყიდება ყველაზე სახელმწიფო ოპერის კასაში.

ნის. 1135. 1—1

თქვენ დაინახავთ თავს ეკრანზე.

კვირას, მაისის 10-ს

სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკაში (პლეხანოვის პროსპ. № 158) მოხდება ამერიკული ცირკის-ჰიპოდრომის კინო-გადაღება სურათისათვის

„ვინ არის დამნაშავე"?

დადგმა რეჟ. წუწუნავასი.

მოქმედება ერთ და იმავე დროს სამ არენაზე.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ:

400 ცხენოსანი და 300 კინო-მსახიობი.

სახკინმრეწვი მოუწოდებს ყველა მსურველებს მონაწილეობა მიიღონ კინო-გადაღებაში.

შესვლა კინო-ქარხანაში თავისუფალია დილის 11 საათამდე.

ვინაიდან მოქმედება სწარმოებს

— ამერიკაში —

მამაკაცებისთვის აუცილებლად საჭიროა ევროპიული კოსტიუმები, ქალებისათვის ჩვეულებრივი ევროპიული.

სახკინმრეწვი.

2—2 ნ. 1129.

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმი და ყოფ. წარმოება „ტეხნო-ქიმიკის"

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ა | წ. 25 თებერვლიდან,

წარმოება „ტეხნო-ქიმიკი" გადავიდა საქართველოს სახმედვაჭრობის

განკარგულებასა და საკუთრებაში და ამის გამო ლიკვიდაცია ექო როგორც ამ წარმოებას, მის მთავარ საწყობს თბილისში პლეხანოვის პრ. სახ. № 106 და მის განყოფილებას ბათომში ტროცკის ქ.

აგრეთვე გაუქმებულად ითვლება ყოფ. „ფარმაცევტთა შრომის არტელი",

ამიტომ ყოველგვარი პრეტენზიები საიდანაც და ვისგანაც არ უნდა იყოს, ხსენებულ წარმოებასა და არტელისადმი შესაძლოა წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს ა | წ. 10 ივნისისა.

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი

წარმოება „ტეხნო-ქიმიკის" გამგეობა

ნ. 1136 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე სხ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—14

თბილისის აღმასკომის თანამშრომელთა კლუბთან

სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩ. კუთხე

გაიხსნა

ბაღი-რესტორანი

სამზარეულო ევროპიული და აზიური საუკეთესო კულინარის ზედამხედველობით.

უაღრესად დაცულია სისუფთავე

გაიცემა საუკეთესო სადილები სახლშიაც დღის 2 საათიდან—ორი თავისაგან 50 კაპეიკად, 3 თავისაგან—70 კაპ. ვახშამი ღამის 3 საათამდე, ფასები პორციების ყველასათვის მისაწვდომია. ღვინოები საუკეთესო ფირმების 50 კაპეიკიდან ზევით.

2—1

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—16.

მუშათა მთლიან კოოპერატივს

ესაჭიროება ხელზე მოვაჭრე ქალები და კაცები. საჭიროა საწინდარი 25—30 მანეთამდე, ხელფასით 50—80 მანეთ. მიმართეთ მუშათა მთლიან კოოპერატივში აბოლაძეს საღამოს 7—8 საათამდე.

1142 1—1

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—23

ექიმი

გ. გ. მეზრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—19

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—17

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—7

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად კოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) საკონსულტაციო საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—18

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—24

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—1

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—8

დაკარგვა ნამსახურობის მოწმობა 15 მაისის 1923 წლ. № 2152, მიცემული რკინიგზის მცველთა რაზმის მე-2 რაიონიდან გიორგი ხარაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1266.

დაკარგვა დამზღვევი კასის წიგნაკი № 943. სხვადასხვა საბუთები, ფული 35 მან. მნახველს ვისთხოვ დამიბრუნოს დოკუმენტები. რაფიელ შარაშიძე.

1—1 1268.

დაკარგვა პირადი წიგნაკი № 437 მოცემული ახალ-ხიზაბავრის რაიონის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ პლატონ პეპუს ძე ჩუბუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1272.

დაკარგვა პასპორტი თედორე თომას ძე დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1273.

დაკარგვა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 33603 ზელინა გარსიაშვილი-ძიმისტარიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1265.

დაკარგვა საარიცხვო წიგნაკი მე-2 კომისარიატიდან მოცემული ს. კაციტაძის სახელზე № 2005. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1267.

დაკარგვა მოწმობა შრომის ინვალიდობის გერონტი ქიქლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1269,

ტირაჟი—20.407

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4